საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 8 მაისი, 2014 წელი.

№90 (7471)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუჩთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ჰომოსექსუალიზმი, როგორც ხელისუფლების განმტკიცების საშუალება?! 3-4

„ნუთუ არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სასუფეველს? თავს ნუ მოიტყუებთ: ვერცა მეძავნი, ვერცა კერპთაყვანისმცემელნი, ვერც მრუშნი, ვერც მხდალნი, ვერც მამათმავალნი“

(პირველი კორინთ. 6, 9).

შურისგება ქართულად 2

კაცი, რომელიც დროს აჩერებს

7

ჯემალ კასრაძე პრიზით ხელში გოგა ჩანადირთან ერთად

დიდი მეფე ბაგრატ III კურაპალატი – 1000 9

როცა მრწამსი შავია... 5

ერთი განცხადების თაობაზე

ქართველთა უმრავლესობა ევროკავშირთან დაახლოებისა და რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების მომხრეა 8

ბიზნეს-უკუღმართობა 11



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

თურქეთი ყოველთვის მხარს უჭერდა საქართველოს მისწრაფებას ნატოსა და ევროკავშირისკენ



ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა აბდულა გიულიმ საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

— მოხარული ვარ, რომ ვიმყოფები თბილისში ჩვენი ძვირფასი პრეზიდენტ მარგველაშვილის მოწვევით. ჩვენ საქართველოში ორი მიზეზის გამო ვართ. პირველი — იმ სამიტის გამო, რომელიც გუშინ გაიმართა და რომელზეც განხილული პროექტები, სტრატეგიულად მნიშვნელოვანია მთელი რეგიონისთვის და მეორე - ოფიციალური ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც შეხვედრა მქონდა როგორც პრეზიდენტთან, ისე პრემიერ-მინისტრთან. თურქეთისთვის საქართველო ყოველთვის იყო ძალიან მნიშვნელვანი ქვეყანა, როგორც მეზობელი და როგორც მეგობარი — ძალზეც ღრმა ურთიერთობაა ჩვენს ერებს შორის. ყოველ წელს 1, 8 მილიონი მოქალაქე ჩადის თურქეთში საქართველოდან და 1,6 მილიონი თურქეთის მოქალაქე ჩამოდის საქართველოში. ეს გვიჩვენებს, თუ რა მასშტაბებია ადამიანებს შორის კონტაქტისა, — განაცხადა აბდულა გიულიმ.

მისივე განმარტებით, ჩვენი ქვეყნები არის მაგალითი თანამშრომლობისა და კეთილი ნებისა.

— ჩვენ ვიცავთ და პატივს ვცემთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. თურქეთს სჯეროდა და სჯერა, რომ ეს პრობლემა უნდა გადაიჭრას საერთაშორისო პრინციპების შესაბამისად. თურქეთი ყოველთვის მხარს უჭერდა საქართველოს ძალისხმევას და მისწრაფებას ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით და ასე იქნება მომავალშიც. ძალიან მალე თქვენი ქვეყანა ხელს მოაწერს ასევე ასოცირების შესახებ ხელშეკრულებას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი განვითარებაა, რომელსაც ჩვენ მაქსიმურად დავუჭერთ მხარს, — აღნიშნა თურქეთის პრეზიდენტმა.

ამასთან, აბდულა გიულიმ საქართველოსა და თურქეთს შორის სხვადასხვა სფეროში არსებულ ურთიერთობებზე გაამახვილა ყურადღება და ამ კუთხით ხაზი ერთობლივ პროექტებს გაუსვა.

თურქეთის პრეზიდენტმა კულტურული მემკვიდრეობის შესახებაც ისაუბრა და რელიგიური მრწამსის თავისუფლების აუცილებლობაზეც გაამახვილა ყურადღება.

— ჩვენს ქვეყნებს ძალზედ მდიდარი, უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობა აქვთ. ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა, მისი აღდგენა, მოვლა, შენახვა უაღრესად მნიშვნელოვანია ორივე ჩვენგანისთვის. ასევე მნიშვნელოვანია რელიგიური მრწამსის თავისუფლება. ესაა განუყოფელი ნაწილი დემოკრატიისა, ესაა ის პრინციპი, რომელსაც ჩვენ ვიზიარებთ. ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება ირწმუნოს ის, ვისიც სჯერა და ეს ძალზეც მნიშვნელოვანია, — დასძინა თურქეთის პრეზიდენტმა.

◎ ალიანჩალიანი

საარჩევნო კომისიის პენსიონერ წევრებს პენსია არ შეეზღუდებათ

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს, რომლებიც იღებენ პენსიას, კომპენსაციას ან სოციალურ პაკეტს, კომისიაში საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული ანაზღაურების გამო, პენსია, კომპენსაცია თუ სოციალური დაფინანსება არ შეუწყდება.

ამასთან დაკავშირებით ცვლილებები რამდენიმე კანონში შედის, რომელიც პარლამენტის ბიუროს გუშინ წარედგინა.

ასევე წარმოდგენილი ცვლილებებით საოლქო საარჩევნო კომისიის დროებით წევრს და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს, რომლებიც შეყვანილი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში, შესაბამისი ხელფასი არ ჩაეთვლებათ ოჯახის ერთობლივ შემოსავალში და არ შეუწყდებათ სახელმწიფო დაფინანსება. იგივე ვრცელდება პირებზე, რომლებიც იღებენ სოციალურ პაკეტს მთავრობის დადგენილების შესაბამისად. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების თანახმად კი, საჯარო საქმიანობად არ ჩაითვლება საარჩევნო კომისიებში განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. იგივე სახით ცვლილებები აისახება „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონში.

„რუსთავი 2“-მა უნდა მისცეს ჩვენება, ვისგან აქვს ეს ინფორმაცია მიღებული

„რუსთავი 2“-ის საკითხზე გამოძიება არის მნიშვნელოვანი, თუმცა, ბუნებრივია, ტელეკომპანიასაც აქვს პასუხისმგებლობა ითანამშრომლოს გამოძიებასთან და მისცეს ჩვენება, თუნდაც ვისგან აქვს ეს ინფორმაცია მიღებული, — ამის შესახებ პარლამენტის სპიკერმა მანანა კობახიძემ განაცხადა.

მისი თქმით, ეფექტური გამოძიებისთვის არსებითია „რუსთავი 2“-მა, როგორც დაზარალებულმა მხარემ, თავისი ვალდებულებები შეასრულოს, რაც ეკისრება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. კითხვაზე, მედიას შეუძლია წყარო არ დაასახელოს, მანანა კობახიძემ განმარტა, რომ მედიას შეუძლია არ დაასახელოს სამოქალაქო კანონმდებლობით, მაგრამ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, როგორც დაზარალებული თუ მოწმე, ვალდებულია ყველა ინფორმაცია მისცეს გამოძიებას, რაც მის ხელთ არსებობს.

— თუ დამალავს ამ ინფორმაციას, გამოძიება სწრაფი და ეფექტური ვერ იქნება, — განაცხადა მანანა კობახიძემ.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობამ 6 მაისს პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, რომ აღმოჩენილია ვიდეომასალა, სადაც ნიკა გვარამიასა და ნინო შუბლაძეს საუბრებია აღბეჭდილი. ნიკა გვარამიამ ინფორმაციის წყაროდ შსს დაასახელა.

◎ ცემა — ქონების წილ

შურისგება ქართულად

ნოშრევან ნამორაძის მიერ დავით კოდუას ცემის ფაქტი საზოგადოების განსჯის საგნად იქცა. ზოგიერთებმა ნოშრევანი გმირად შერაცხეს, ზოგისთვის კი მისი საქციელი გამწარებული ადამიანის ნამოქმედარია, რომელმაც ქვეყანაში სამართალი ცივილიზებული ფორმით ვერ იპოვა. უფრო შორს წავიდნენ „ფორუმელები“, რომლებმაც გამოკითხვაც კი ჩაატარეს — „უნდა ეცემა თუ არა ნოშიკოს დავით კოდუა“? მათ პასუხებში დადებითი რეაქცია სჭარბობდა. აშკარაა, საზოგადოება მორიგი შურისძიებების მოლოდინშია და ისმის შეფასებებიც:

„ჯერ სად ხართ, მტაცებელო ნაცებო, თქვენზე ნადირობა აწი დაიწყებას ახლა განახებენ, როგორ უნდა ადამიანის გამწარება“...

„შენმა მარჯვენამ გაიხაროს, ნოშრევან!“...

„სად ერთი გამწარებული კერძო ტიპი რომ ჩადის დანაშაულს და სად სახელმწიფო რომ არის დამნაშავე“...

„იმდენი ხალხი ჰყავთ გამწარებული, ეგენი ქუჩაში სიარულს ვერ უნდა ბედავდნენ“...

„ოცნებამ“ იმას მიაღწია, რომ ხალხმა სამართლის ძებნის საკუთარი გზა ირჩია“...

„ნაცებს კალოობა დაეწყოთ, ნაცები უნდა გადაჯიშდნენ საქართველოდან და ლიბერასტებიც უკან მიყვნენ!“...

თავად ნოშრევან ნამორაძე აცხადებს, რომ წლების განმავლობაში სულში ჩაფურთხებულად გრძნობდა თავს. კოდუების მხრიდან უკანონოდ დაკავებისა და ქონების წართმევის შემდეგ იგი, უბრალოდ, ითხოვდა ადამიანურ ბოდიშს, რაც არ მომხდარა. სწორედ ამან გამოიწვია მისი განრისხება. თუმცა, დავით კოდუას ცემის შემდეგ აწ უკვე ბრალდებულ ნამორაძეს მიმალვა არ უცდია და თავად ჩაბარდა გამოძიებას.

„2008 წელს კოდუების ოჯახმა გაგვანადგურა და დაგვტოვა ქუჩაში. ერეკლე და დავით კოდუებმა ნუკრი ჩიკვილაძეს დაავალეს ჩემთვის ნარკოტიკის ჩადება. ჩამიდეს დიდი ოდენობით ჰეროინი. ჩემთვის ქონების წართმევა და მატერიალური მხარე უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რაც მოხდა. ნარკოტიკთან შეხება საერთოდ არ მქონია. შემჩნეულიც არ ვყოფილვარ, თუმცა, ისინი დადიოდნენ ქალაქში და ყველას ეუბნებოდნენ, რომ მე აღმომაჩნდა ჰეროინი. ამასთან, ჩემი მეუღლე ქუჩაში ჩამოაგდეს და ის მანქანა წაიყვანეს, რომელშიც იჯდა. ამის შემდეგ დამაკავეს“, — აღნიშნა საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე ნოშრევან ნამორაძემ.

ნაციონალების მიერ დაკავების შემდეგ ის „იძულებული გახდა“, ეღიარებინა არარსებული დანაშაული, რაზეც ციხიდან გამოსვლის შემდეგ 500 ათასი ლარი გადაახდევინეს. მოგვიანებით აიძულეს, დაეთმო „ტიფლის დეველოპმენტი“. ქონება 200 ლარად კოდუებთან დაახლოებულ პირზე გოგა ზაქაიძეზე გადააფორმეს.

მოჰყვება თუ არა ნოშრევან ნამორაძის შურისძიებას ჯაჭვური რეაქცია და განხორციელდება თუ არა სხვა პრეცედენტებიც?! რას ფიქრობენ მომხდარის შესახებ „ნაცმოძრაობისგან“ დაზარალებული ბიზნესმენები?!

For.ge ბიზნესმენ მამია სანადირაძეს ესაუბრა, რომელსაც ყოფილმა ხელისუფლებამ „კავკასუს ონლაინი“ ძალადობრივად

ჩამოართვა და, რომლის საქმეც დღეს საქართველოს პროკურატურაში სრულ სტაგნაციაშია, ინგლისის სასამართლოში კი მიმდინარეობს სამოქალაქო დავა. მამია სანადირაძის პერსონა იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ იგი, ამავდროულად, მოძრაობა „დააბრუნეს“ ხელმძღვანელიცაა, რომელიც უამრავ დაზარალებულ ბიზნესმენს აერთიანებს. მამია სანადირაძე მიიჩნევს, რომ ნოშრევან ნამორაძის ქმედება შურისძიების ერთ-ერთი პირველი პრეცედენტია, რომელიც აუცილებლად გაგრძელდება. თანაც, გაგრძელდება შემზარავი ფორმებით, რადგან შურისმაძიებელი ადამიანი ფსიქოლოგიურად ამაში იღებს სიამოვნებას. ეს მისთვის საჭიროა, წინააღმდეგ შემთხვევაში, განადგურდება, გალოთდება...

„ნოშრევან ნამორაძის პრეცედენტი მეტყველებს, რომ ეს პიროვნება უფრო გაბედული აღმოჩნდა სხვებთან შედარებით. შურისძიება სხვადასხვა მეთოდით ხდება, ზოგი თავად დაგეგმავს, მიეპარება სადარბაზოში და აგურს ჩაარტყამს დამნაშავეს, ზოგი წავა და კრიმინალების დახმარებით მოითხოვს სამართლიანობის აღდგენას. შურისძების დაგეგმვა ძალზე დიდხანს მიმდინარეობს. ადამიანები, რომლებიც გაიძარცვნენ და მათი ქონება მიიტაცეს, რომლებიც დაამცირეს და დილეგში ჩაყარეს, თავადვე საჭიროებენ ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას, რათა სამომავლოდ მათ შეძლონ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა. სწორედ ამისთვის ცდილობს ცივილიზებული სამყარო — სასამართლო, პროკურატურა, საგამოძიებო ორგანოები, დანაშაული გამოიძიონ და დაზარალებულებმაც ნახონ, რომ დამნაშავეს სამართლის ძალით მიეზღა.

ჩემთან მოსული ძალიან ბევრი ბიზნესმენი დემორალიზებულია, მათ აღარ აქვთ ბიზნესის წარმოების უნარი, ბევრი გალოთებულია, ვერ გადაულახავს დამცირება-შეურაცხყოფა. ეს ადამიანები შურისძების გარეშე ვერ ახერხებენ ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას. ზოგს ეს შურისძიება ურჩევნია, ფიქრობს ამით ვაჟკაცის სახელს დაიმკვიდრებს საზოგადოებაში და ამის შემდეგ შეეძლება ბიზნესსაქმიანობის გაგრძელება. რა თქმა უნდა, არ ვამართლებ შურისძიებას, ვემხრობი ცივილიზებულად დანაშაულების გამოძიებას, რომელიც ადვილად გამოსაძიებელია, თუ გვინდა, დესტრუქციული საზოგადოება არ მივიღოთ“, — აცხადებს მამია სანადირაძე.

მისივე თქმით, აქ არაფერ შუაშია მრავალმილიონიანი თუ მილიარდიანი ზარალი, რითაც მმართველი ძალა აპელირებს. მთავარია, ამ ადამიანების ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, მათ უნდა დაინახონ, რომ დამნაშავემ პასუხი აგო. მაშინ ჩვენი საზოგადოება შურისმაძიებელთა საზოგადოებად არ გადაიქცევა. ამიტომ უნდა შეიქმნას ცალკე დეპარტამენტი, რომელიც სამართლიანი პროკურორებით დაკომპლექტდება.

„ნაცმოძრაობა“ ქონების ჩამორთმევას და დანაშაულების გაფორმებას საკმაოდ ოსტატურად ახერხებდა. ეს საქმეები თუ არ გამოიძია პროკურატურამ, ძნელი დასამტკიცებელი იქნება მათ მიერ დაკანონებული ძარცვა. როგორც ნოშრევან ნამორაძემ თქვა, მას „აახიეს“ ქონება, რის გამოც შური იძია. უკვე წელიწადნახევარზე მეტი გავიდა და პირადად მეც პროკურატურაში მეუბნებიან, გამოძიება მიმდინარეობსო. ვადები შეზღუდული არ არის და ეს „გამოძიება“ შეიძლება სამარადისოდ გაგრძელდეს. ვერ მოვახერხეთ სახელმწიფოს მიეღო ვადები, რათა ამ ვადებში ჩატეულიყო გამოძიება“, — აცხადებს მამია სანადირაძე.

ჩვენ ვესაუბრეთ დაზარალებულ ბიზნესმენს ჯემალ ლეონიძეს, რომელიც ათობით მილიონი დოლარის ქონებას ფლობდა, ახლა კი უსახლკაროდაა დარჩენილი. ჯემალ ლეონიძემ კომპანია „მაგნატი 2006“ დაარსა. მისი ძირითადი საქმიანობა ნავთობპროდუქტების შეძენა-რეალიზაცია იყო. თუმცა, 2009 წელს უკანონოდ დააპატიმრეს და ქონებაც წაართვეს.

„ვინ არის დავით კოდუა, რომ მასზე ვილაპარაკო? ნანუკა ჟორჟოლიანი ჟურნალისტია და მისი ვალდებულებაა, გამოვიდეს და საჯაროდ თქვას, რა უკანონობაც კოდუების დროს ხდებოდა. თუ კარგი კაცია მისი ქმარი, რატომ გაიქცა საქართველოდან? ნანუკამ იცის ხოლმე „იაზვურად“ გამოსვლა და კომენტარების გაკეთება, მაგრამ ნოშრევან ნამორაძემ ვაჟკაცურად გააკეთა, კოდუასავით კი არ დაიმალა, როგორც ის ვალერი გელაშვილის ცემის შემდეგ მოიქცა, არამედ პოლიციაში გამოცხადდა და განაცხადა, რომ მან სცემა დავით კოდუა. მივესალმები ასეთ კაცურ საქციელს. ვერ ვიტყვი, რომ ადამიანის ცემის ფაქტს ვამართლებ, მაგრამ შეიძლება, მეც უარესი გამეკეთებინა, თუ მსგავს სიტუაციაში აღმოვჩნდებოდი. ასეთ რამეს ადამიანი წინასწარ განზრახულად არ აკეთებს, ალბათ, რაღაცით იძულებული გახდა იმ მომენტში. შეიძლება ვინმემ იფიქროს, მე თუ სახლს და წართმეულ ბიზნესს არ დამიბრუნებენ, მივალ და კეზერაშვილის მშობლებს ან ძმას ბომბს შევუგდებ, ნაღდად არ მაქვს ასე გათვლილი, მაგრამ ვნახოთ, რა მოხდება“, — აცხადებს ჯემალ ლეონიძე For.ge-სთან საუბარში.

რაც შეეხება უშუალოდ მის საქმეს, ბიზნესმენის თქმით, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მისი საქმის გამოძიება პროკურატურაში დასრულებულია, მაგრამ დღემდე არც დაზარალებულს აცხადებენ, არც —დამზარალებელს.

მანანა ნოზაძე

№90. ხუთშაბათი, 8 მაისი, 2014 წელი.

ჰომოსექსუალიზმი, როგორც ხელისუფლების განეტკიცების საშუალება?!

დიდი ხმაურის, ურთიერთბრალდებებისა და საომარი შეძახილების შემდეგ პარლამენტმა მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. მან (პარლამენტმა) თავი გადადო, არად ჩააგდო თვით კათოლიკოს-პატრიარქის თხოვნა, შეეჩერებინათ ამ საეჭვო ღირსების კანონპროექტის მიღება და ერთხმად მიანიჭა სიცოცხლის უფლება. არადა, მან ხალხში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია კონსტიტუციაში არარსებული ცნებების „სექსუალური ორიენტაციისა“ და „გენდერული იდენტობის“ შემოტანით.

ვთქვით პირდაპირ და მიუკიბ-მოუკიბავად: საზოგადოების დიდი უმეტესობა არატრადიციულ სექსუალურ ურთიერთობებს სამართლიანად მიიჩნევს მომაკვდინებელ ცოდვად, ხოლო ახალ კანონს — ამ ცოდვის პროპაგანდად და დაკანონებად.

გაუკუღმართებული სექსუალური ცხოვრება ყოველთვის არსებობდა კაცობრიობის ისტორიაში (ის კი არა, რაღაც ცდები ცხოველებშიც კი შეიმჩნევა).

მოციქული პავლე ამბობს: **„ნუთუ არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სასუფეველს? თავს ნუ მოიტყუებთ: ვერცა მეძავნი, ვერცა კერპთაყვანისმცემელნი, ვერც მრუშნი, ვერც მხდალნი, ვერც მამათმავალნი“** (პირველი კორინთ. 6, 9).

დიდი განმანათლებელი და „მოციქულთა თავი“ მამათმავლობას ისეთ მიუტევებელ ცოდვასთან აიგივებს, როგორებც არის კერპთაყვანისმცემლობა, მეძავობა და მრუშობა.

მთელი ეს ლგბტ: ლესბოსელები, გეები, ბიტრანსსექსუალები, ჰომოფობიას — ირაციონალურ შიშსა და სიძულვილს იწვევენ ხალხში.

მამათმავლობა სოდომისა და გომორის ცოდვასთან არის დაკავშირებული. ძველ ქართულ მწერლობაში, ასევე თანამედროვე მეტყველებაში „სოდომი“ და „გომორი“ დამკვიდრებულია უწესო ქცევის, გარყვნილების, ანარქიულობის და სხვათა სიმბოლურად გამოსახატავად.

სოდომი ბიბლიური გადმოცემით (დაბადება 19, 1-29) ქალაქი იყო ძველ პალესტინაში, მდინარე იორდანეს შესართავთან, ანუ მკვდარი ზღვის დასავლეთ სანაპიროსთან, რომლის მოსახლეობაც მეზობელ ქალაქ გომორის მკვიდრებთან ერთად ცნობილი იყო გარყვნილებითა და ზნედაცემულობით, რისთვისაც ღმერთმა ამ ქალაქების განადგურება გადაწყვიტა. უნდა გადარჩენილიყო მხოლოდ ღვთისმოსავი და პატიოსანი ადამიანი, მაგრამ ასეთი მხოლოდ აბრაამის ძმისწულის ლოთის ოჯახი აღმოჩნდა.

ორი ანგელოზი ესტუმრა ლოთს. მასპინძელმა ავახშმა სტუმრები, მაგრამ სანამ დასაძინებლად დაწვებოდნენ, სახლს გარს შემოერტყნენ ქალაქის მკვიდრნი, სოდომელი კაცები — ჭაბუკნი თუ მოხუცნი.

დაუძახეს ლოთს და უთხრეს, სად არიან ის კაცები, წუხელ რომ გესტუმრნენ? გამოიყვანე ჩვენთან, უნდა შევიცნოთ.

გამოვიდა მათთან ლოთი კარის ზღურბლზე და უთხრა მათ: ნუ იზამთ ბოროტებას, ძმანო! აბა, ორი ქალიშვილი მყავს, რომელთაც მამაკაცი არა იციან, მათ გამოგიყვანთ და უყავით რაც გენებოთ, ოღონდ ამ კაცებს არაფერი ავნოთ, რადგან ჩემს ჭერქვეშ არიან შემოსულნი!

უთხრეს: მოშორდი აქედან, თორემ მათზე უარეს საქმეს დაგმართებთ.

არ მოეშვნენ ლოთს და მიიჭრნენ კარის შესამტვრევად.

...და აწვიმა უფალმა ციდან სოდომსა და გომორს გოგირდი და ცეცხლი. დაამხო ეს ქალაქები და მთელი მხარე, ამ ქალაქების მთელი მოსახლეობა და დედამიწის აღმონაცენი. და აბა, ხედავს, კვამლი ასდის მიწას, როგორც საკირიდან ავარდნილი ბული.

(ცნობისმოყვარეთათვის: სტრაბონს ჩაწერილი აქვს გადმოცემა, რომლის მიხედვითაც მკვდარი ზღვა გაჩენილა რაღაც უჩვეულოდ დიდი კატასტროფის შედეგად, რომელსაც დაუნგრევია იქ მდებარე ქალაქები. ბოლო გამოკვლევებით კატასტროფა უნდა მომხდარიყო საწვავ ნივთიერებათა აფეთქებით, რის მიზეზიც შეიძლება ელვა ყოფილიყო).

ამრიგად უფალმა სოდომელებსა და გომორელებს არ აპატია მამათმავლური ცოდვა სხვათა შორის, სამაგიეროდ მოგვიანებით ლოთის ქალიშვილებს შეუნდო საშინელი ზნეობრივი დანაშაული, როცა მამა დაათვრეს, დაწვნენ მასთან და მუცლად იღეს, ის კი არა, მათი გაჩენილი ცოდვის შვილები ხალხების — მოაბელთა და ყამონიანთა მამამთავრებიც კი გახდნენ.

ქართველების უმრავლესობა თვლის, რომ ჰომოსექსუალიზმი შემოსულია უცხო ქვეყნებიდან. **XI-XI საუკუნეებში ეს თემა უვე აქტუალური იყო. ამ დროს ეკლესია მოითხოვდა, რომ მამათმავლობაში შემჩნეულ პირებს რამდენიმე წლით შეწყდომოდათ ზიარების მიღების უფლება (სანამ ცოდვას არ მოინანიებდნენ). 1103 წელს დავით აღმაშენებლის მიერ ჩატარებულ რუის-ურბნისის კრებაზე შემოიღეს მე-18 მუხლი, რაც გულისხმობდა, რეპრესიების გატარებას ჰომოსექსუალების მიმართ. ითქვა: „ცოცხლივ ჯოჯოხეთად შთამხდელი რისხვა“ ემუქრებათო.**

ითვლებოდა, რომ მამათმავლობა „შემოგდებული“ იყო გარეშე მტრების (არაბები, მონღოლები, ბიზანტიელები) მიერ, რის შემდეგაც ის გავრცელდა არა მარტო რიგით მოსახლეობაში, არამედ სასულიერო პირებშიც კი, რაც დიდ საფრთხეს უქმნიდა სარწმუნოებას და სახელმწიფოებრიობას. აქედან ჩაისახა პირველი ქართული ჰომოფობია, რაც მაშინ პირდაპირ კავშირში იყო **„მტერთან და არაკეთილმოსურნეობასთან“,** — წერს ივანე ჯავახიშვილი.

თამარის დროს, ქვეყანა მშვიდობასა და გამარჯვებაში რომ იყო, მოულოდნელად ისეთი რამ გამოაშკარავდა, ყველა აღაშფოთა. ივანე ჯავახიშვილი გვიამბობს: მზე-მეფის თამარის სულ რაღაც ორი წლის ჯვარდაწერილ ქმარს გიორგის (იურის) — **„უბედურ რუსს, სოდომური ცოდვა და ქცევა აღმოაჩნდა. თამარს იმთავითვე შეუტყვია ეს უკეთურობა და ორ წლამდე განა უმეტეს იყო განსაცდელსა უცხოსა, სანამ დაფარული ჭირი გამომჟღავნდებოდა და „უგრძნეს ვაზირთა და დიდებულთა“.** რაკი ეს საუგო ამბავი გამოაშკარავდა, გიორგი რუსის ბედიც გადაწყდა: იგი საქართველოდან გააძევეს. ცოლყოფილმა უღირსი ქმარი მაინც „აუარებელი ლარით, სიმდიდრითა და საჭურჭლითა დატვირთული გაისტუმრა (ამ შემთხვევაში იმას აღარ აქვს მნიშვნელობა, რომ თავლაფდასხმული ქმარყოფილი ორგზის შეეცადა საქართველოში დაბრუნებას და „თავის უფლებებში“ აღდგენას).

რევოლუციამდელ რუსეთში ჰომოსექსუალიზმი არ იდევნებოდა. მხოლოდ მოძალადე პედერასტებს გზავნიდნენ ციმბირში. გადმოცემით, საქართველოშიც იყო ადგილები — ორთაჭალის ბაღებში, გოგირდის აბანოებში (ცნობილი „სედმოი პერვი“), სადაც ნებისმიერ მსურველს შეეძლო, ეპოვა სექსუალური პარტნიორი.

ბოლშევიკები ჰომოსექსუალიზმს „ბურჟუაზიულ გახრწნილებად“ თვლიდნენ, თვით ჰომოსექსუალებს კი — სულიერ ავადმყოფებად.

1934 წელს კი სტალინმა ჰომოსექსუალიზმის ამკრძალავი კანონი მიიღო. ჰომოსექსუალი მტრად აღიქმებოდა, მიიჩნევდნენ, რომ ისინი აპირებდნენ შეთქმულების მოწყობას და სახელმწიფო გადატრიალებას. ჰომოსექსუალიზმი და შპიონაჟი თითქმის იგივდებოდა. ამ მუხლით 60 ათასი (სავარაუდოდ ბევრად მეტი) კაცი გაასამართლეს.

როგორც ვთქვით, ანტიგეიური მუხლი — 154-ა სსრ კავშირის სისხლის სამართლის კოდექსში 1934 წელს გაჩნდა, ბრალდებულს 3-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ესჯებოდა.

ეს მუხლი შემთხვევით არ შემოუტანიათ, თანაც იგი ფაქტობრივად ჯერ კიდევ 1933 წლის ბოლოს იშვა. სკპ (ბ) ცკ-ის პლენუმმა 1933 წლის იანვარში მიიღო გადაწყვეტილება პარტიული წმენდის ჩატარების შესახებ, რის შედეგადაც პარტიიდან გარიცხეს რამდენიმე ასეული ათასი კომუნისტი. სწორედ ისინი, ვინც 1933 წელს გარიცხეს პარტიიდან, გახდნენ შემდგომში დიდი ტერორის პირველი მსხვერპლნი. მათთვის საჭირო გახდა ისეთი ბრალდება, რაც დაპატიმრებული „ხალხის მტრების“ დისკრედიტაციას მოახდენდა საზოგადოების თვალში. ეს ნეგატიური შთაბეჭდილება ჰომოსექსუალიზმში ბრალდებას უნდა მოეხდინა.

ამრიგად, 1933 წლამდე ჰომოსექსუალიზმი სისხლის სამართლებრივ დანაშაულად არ ითვლებოდა და საკმაოდ გავრცელებული მოვლენა იყო, განსაკუთრებით შემოქმედებით ინტელიგენციაში, აგრეთვე ზოგიერთ სახალხო კომისარიატში (მაგ. საგარეო საქმეთა სახკომში). მაგრამ 1933 წლის შემოდგომაზე გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (ОГПУ) თავმჯდომარის გენრიხ იაგოდასა და მისი პირველი მოადგილის ვიაჩესლავ მენჟინსკის ინიციატივით მოსკოვსა და ლენინგრადში ჩატარდა სპეცოპერაცია იმ პირთა გამოსავლენად, რომლებზეც ჰომოსექსუალობის ეჭვი ჰქონდათ. იაგოდამ იმავე წლის ნოემბერში მოახსენა სტალინს, პედერასტთა აქტივიდან 130 კაცის დაპატიმრების შესახებ, რომლებიც ცდილობდნენ **„პედერასტთა სალონების, კერების, პრიტონების, ჯგუფების და სხვა ორგანიზებული ფორმირებების შექმნას, ამ გაერთიანებების პირდაპირ ჯაშუშურ უჯრედებად გადასაქცევად“.** ბელადმა დავალება მისცა **„სამაგალითოდ დაესაჯათ ნაძირლები“,** და 1933 წლის 3 დეკემბერს იაგოდამ ხელისუფლებას შესთავაზა **„გამოეცათ შესაბამისი კანონი პედერასტების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის“.**

მაშინ ასეთი საკითხები ელვის სისწრაფით წყდებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ პოლიტბიურომ მოიწონა „კონსტრუქციული წინადადება“ და 17 დეკემბერს გამოქვეყნდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ-ის) დადგენილება, რომელზე დაყრდნობითაც **გაერთიანებულმა სახელმწიფო პოლიტსამმართველომ ჰომოსექსუალისტთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის უფლება მიიღო ჯერ კიდევ კოდექსში ამ მუხლის შემოღებამდე (შემოიღეს 1934 წლის 7 მარტს, ხოლო კოდექსში შეიტანეს იმავე წლის 1 აპრილს. იგი მხოლოდ 1993 წელს გააუქმეს).**

იხ. 4 გვ.

◎ ალიან-ჩალიანი

ევროკომისია საქართველოს 30 მილიონ ევროს გამოუყოფს

ევროკომისია საქართველოსა და მოლდოვას დახმარების სახით დამატებით 60 მილიონ ევროს გამოუყოფს. ამის შესახებ ინფორმაციას ევროკავშირის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

ამასთან, ევროკავშირის ინფორმაციის თანახმად, ეს თანხა საქართველოსა და მოლდოვას შსს-ს თანაბრად გადანაწილდება.

დახმარების პაკეტი მიმართულია საჯარო ინსტიტუციების, მოქალაქეთა და ბიზნესის დასახმარებლად, რათა მათ ისარგებლონ იმ ბენეფიტებითა და შესაძლებლობებით, რასაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს, ევროკავშირის ბაზარზე წვდომის ჩათვლით.

—საქართველო და მოლდოვა ევროკავშირთან ურთიერთობების შეცვლის ერთგული რჩებიან, ერთობლივად გაზიარებული ფუნდამენტურ ფასეულობებზე დაყრდნობით. ასოცირების ხელშეკრულების შეთანხმება ამ ცვლილებებს შესაძლებელს გახდის და ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების გაძლიერების თვალსაზრისით ახალ პერსპექტივებს გახსნის. ჩვენი დახმარება კი ამ პროცესის აკომპანირებას მომავალშიც გააგრძელებს, — განაცხადა ევროკომისარმა გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულემ.

ალექსანდრე ანქვაბი საავადმყოფოში მოათავსეს

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა.

აფხაზური მედიის ინფორმაციით, პოლიტიკური პარტია „ამცახარასა“ და საზოგადოების წარმომადგენლებთან მრავალსაათიანი შეხვედრისას ანქვაბმა თავი შეუძლოდ იგრძნო. მას პირველადი დახმარება სასწრაფო დახმარების ბრიგადამ აღმოუჩინა და სტაციონარული მკურნალობის რეკომენდაცია მისცა.

აღნიშნულთან დაკავშირებით დე ფაქტო პრეზიდენტის წარმომადგენელმა კრისტიან ბჟანიამ სპეციალური განცხადება გაავრცელა.

— დაახლოებით 21:15 საათზე, პრეზიდენტი დამოუკიდებლად მივიდა სოხუმის მე-2 საქალაქო საავადმყოფოში, სადაც კარდიოლოგიურ განყოფილებაში იყო ჰოსპიტალიზებული. გამოკვლევების შემდეგ, პაციენტს ჰიპერტონიული კრიზის დიაგნოზი დაუსვეს. სპეციალისტები პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას აფასებენ, როგორც სტაბილურს. არტერიული წნევა და სხვა ჰემოდინამიკური მაჩვენებლები ნორმის ფარგლებშია, — ნათქვამია ბჟანიას განცხადებაში.

მოქალაქეს სახელის მრავალჯერ შეცვლის უფლება აღარ ექნება

პირის უფლება, სურვილისამებრ მრავალჯერ შეიცვალოს სახელი, იზღუდება. სურვილისამებრ სახელის შეიცვალის უფლება საქართველოს მოქალაქეს მხოლოდ ერთხელ — სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ ექნება.

ეს არის იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო პაკეტის ერთ-ერთი სიახლე, რომელიც ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმას უკავშირდება. „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის შესახებ“ კანონში, „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ კანონსა და „სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტი მთავრობამ პარლამენტს უკვე წარუდგინა.

კანონის დღეს მოქმედი რედაქციის თანახმად კი, სახელის შეცვლა შესაძლებელია განმცხადებლის სურვილისამებრ, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

ინტერპრესი

◎ ალიან-ჩალიანი

ვანისა და ასპინძის რაიონებში ნოტარიუსები დაინიშნენ

როგორც იუსტიციის სამინისტროდან იტყობინებიან, ეს ის რაიონებია, სადაც წლების განმავლობაში სანოტარო ბიურო არ მოქმედებდა და ადგილობრივ მოსახლეობას სანოტარო მომსახურების მისაღებად მეზობელ რაიონებში უწევდა წასვლა, რაც დამატებით ხარჯთან იყო დაკავშირებული.

— 2012 წლის ნოემბერში საქართველოს 14 რაიონის მოსახლეობა ნოტარიუსის გარეშე იყო დარჩენილი. საქართველოს იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის ინიციატივით, დაიწყო კამპანია: „გახდი შენი რაიონის ნოტარიუსი“. რაიონების მოსახლეობის ინფორმირებასა და ნოტარიუსობის მსურველ კანდიდატებთან აქტიური მუშაობის შედეგად, დღეს აღნიშნული 14 რაიონიდან 10 რაიონის მოსახლეობისთვის სანოტარო მომსახურება უკვე ხელმისაწვდომია. ამასთან, ნოტარიუსები დაინიშნენ იმ ქალაქებსა და რაიონებშიც, სადაც ნოტარიუსთა რაოდენობა საკმარისი არ იყო. მაგალითად, ფოთში, დუშეთსა და ყვარელში 2014 წლამდე მხოლოდ ერთი სანოტარო ბიურო მოქმედებდა, ასევე, ლაგოდეხს 2013 წლამდე ერთი ნოტარიუსი ემსახურებოდა, — ნათქვამია იუსტიციის სამინისტროს განცხადებაში.

სანოტარო მომსახურების გარეშე ჯერ კიდევ დარჩენილია შემდეგი რაიონები: ონი, მესტია, ამბროლაური, ადიგენი, ასევე, ქედა, სადაც ნოტარიუსი 2013 წელს მაისში გადადგა. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ნოტარიუსობის ყველა იმ კანდიდატს, ვინც სანოტარო საქმიანობის დაწყებას აღნიშნულ რაიონებში გადაწყვეტს, მაქსიმალური ხელშეწყობა ექნებათ.

საწარმოებს შეეძლებათ, დავალიანებების ჩამოწერის თხოვნით სახელმწიფოს ნებისმიერ დროს მიმართონ

საგადასახადო და სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაციის, უიმედო სესხად აღიარების, ასევე მისი ჩამოწერის საქმეში საწარმოები დროში შეზღუდული აღარ იქნება.

უქმდება დათქმა, რომლის მიხედვით, დავალიანების რესტრუქტურიზაცია, ასევე უიმედო სესხად აღიარება, ჩამოწერა, პატიება, მესამე პირისათვის გადაკისრება, დაფარვის მოთხოვნის უფლების სხვა იურიდიული პირისათვის გარკვეული დისკონტით დათმობა მხოლოდ იმ საწარმოების მიმართ უნდა განხორციელებულიყო, რომლებიც ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი განაცხადითა და დოკუმენტაციით 2017 წლის 1 იანვრამდე მიმართავდნენ. შესაბამისად, საწარმოებს საშუალება ექნებათ ასეთი განაცხადით უწყებას ნებისმიერ დროს მიმართონ.

ამ და სხვა ცვლილებებს „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ მოამზადა.

სამხედრო ფორმის ტანსაცმლის უკანონოდ ტარება დასჯადი ქმედება გახდება

საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ფორმის ტანსაცმლისა და განმასხვავებელი ნიშნების უკანონოდ ტარება ადმინისტრაციული წესით დასჯადი ქმედება იქნება. ამასთან დაკავშირებით, შესაბამისი ცვლილებები „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შედის, რომელიც თავდაცვის სამინისტრომ მოამზადა და განსახილველად პარლამენტს წარუდგინა.

პროექტის თანახმად, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს“ ემატება ახალი მუხლი, რომლის მიხედვითაც, საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ფორმის ტანსაცმლისა და განმასხვავებელი ნიშნების უკანონოდ ტარება გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, დაკავშირებული იქნება 200-ლარიანი ჯარიმის გადახდასთან.

ინტერპრესი

ჰომოსექსუალიზმი, როგორც ხელისუფლების განმტკიცების საშუალება?!

(მესამე გვერდიდან)

ჰომოსექსუალისტთა მასობრივი რეპრესიები არ ხდებოდა, მაგრამ ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში პარტიულ-სახელმწიფო ნომენკლატურის განაჩენებში 154-ა მუხლსაც ჩაურთავდნენ ხოლმე. ერთსქესიანი სიყვარულისადმი ლტოლვაში დაადანაშაულეს შინაგან საქმეთა ყოფილი სახკომი ნიკოლაი ეჟოვი, საგარეო საქმეთა სახკომის საოქმო ნაწილის უფროსი ფლორინსკი და ზოგი ძველი ბოლშევიკი. შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებსაც ამ მუხლს უმატებდნენ ძირითადზე.

თუ სტალინის ეპოქაში 154-ე მუხლი, როგორც წესი, თავისებური „დავესკა“ იყო, უკვე 50-იანი წლების ბოლოს ჰომოსექსუალიზმის გავრცელების ბრალდება ხშირად იქცეოდა ამძრავ ღვედად სხვადასხვა დაწესებულების და ორგანიზაციის „გასაჯანსაღებელი“ ღონისძიებების დასაწყებად. იმ დროიდან ჰომოსექსუალიზმი იქცა ხელსაყრელ საშუალებად, რომელიც მთლიანად ამართლებდა ხელისუფლების ჩარევას კულტურის დაწესებულებათა საქმიანობაში, თუმცა, ჭეშმარიტი მიზანი, რა თქმა უნდა, „მორალური იერსახის“ განმტკიცება კი არა, სტუდენტთა და პედაგოგთა პოლიტიკური ლოიალობის მიღწევა იყო.

40-იან წლებსა და 50-იანი წლების შუახანებში ცკ-ს უხდებოდა მიეღო სხვადასხვა ზომა და გამოეცა შესაბამისი დადგენილებები. 1955 წლის 8 მარტს სკკპ ცკ-ის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგემ რუმიანცევმა, განყოფილების გამგის მოადგილე ტარასოვსა და განყოფილების სექტორის გამგე ლებედევთან ერთად პარტიის ხელმძღვანელობას გაუგზავნა ვრცელი წერილი **„მოსკოვის სამხატვრო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებში იდეურად უცხო გავლენის შეღწევის ფაქტების შესახებ“.**

ლაპარაკი იყო გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში, შჩუკინის სახელობის თეატრალურ სასწავლებელში, გნესინების სახელობის მუსიკალურ-პედაგოგიური ინსტიტუტში, მოსკოვის კონსერვატორიაში და სურიკოვის სახელობის ინსტიტუტში გამეფებულ ატმოსფეროზე: ლოთობაზე, გარყვნილებასა და ამორალურ ქცევებზე, მათ შორის მამათმავლობაზე, პორნოგრაფიის გავრცელებაზე.

1959 წელს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო სპეცოპერაცია მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიის კოლექტივში არატრადიციული ორიენტაციის და პედოფილი მოქალაქეების გამოვლენის მიზნით. კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის „მორალური გახრწნის“ შესახებ სიგნალები 1959 წლის გაზაფხულიდან შედიოდა, მაგრამ პრაქტიკული მოქმედება შინაგან საქმეთა სამინისტრომ მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, **რაც მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის დირექტორმა სვეშნიკოვმა და პარტორგანიზაციის მდივანმა ფედოროვცევმა სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრს ნიკოლო დუდოროვს 1958 წ. ივნისში წერილი გაუგზავნეს, რითაც აცნობებდნენ, რომ „კონსერვატორიაში არიან პედაგოგები (მათ შორის ერთი პროფესორიც კი), რომლებიც მამათმავლობაში არიან ეჭვიტანილნი“. დირექტორი და პარტორგი დახმარებას ითხოვდნენ.**

გამოძიება თითქმის რვა თვე გრძელდებოდა, მისი აქტიური ფაზა (აგენტურის ჩანერგვა, გარეგანი თვალთვალის ორგანიზება, მოწმეთა გამოკითხვა) 1959 წლის ზამთარში დაიწყო.

ნ. დუდოროვმა სკკპ ცკ-ში 1959 წლის 31 მარტს „სრულიად საიდუმლო“ წერილი გაგზავნა, რომელშიც კერძოდ ნათქვამი იყო, რომ პედაგოგი ესა და ეს დიდი ხანია ეწევა მამათმავლობას და არასრულწლოვან მოსწავლეთა (ბიჭების) გახრწნას.

გამომჟღვნებულ გეი-პროფესორს 154-ა მუხლის მეორე ნაწილი ემუქრებოდა, რომელიც **„სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისთვის“** 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. პედაგოგი იმხილებოდა მრავალრიცხოვანი მოწმეების ჩვენებით, მათ შორის იმათი, ვინც მან არატრადიციული ორიენტაციის მოქალაქეთა გაერთიანებაში ჩააბა“.

პედაგოგის გადახრების შესახებ ინფორმაცია საკმაოდ დიდხანს იდო უმოძრაოდ, რადგან მილიციონერებს უნდოდათ გამოემჟღავნებინათ „დოცენტებიც“, რომლებიც დირექტორისა და პარტორგის წერილში იყვნენ ნახსენები. მაგრამ მათ ავი იგუმანეს და ერთმა (საკმაოდ ცნობილმა პიანისტმა და პედაგოგმა) სასწრაფოდ ცოლი მოიყვანა, მეორე კი საერთოდ წავიდა კონსერვატორიიდან. მაგრამ 1959 წლის მარტში მილიციონერებმა შეძლეს ერთი კურსდამთავრებულის, რომელიც უკვე დამოუკიდებლად შრომობდა, „ფაქტზე“ ჩაავლეს ერთ-ერთ არტისტთან სქესობრივი ურთიერთობისას.

პედაგოგი, კურსდამთავრებული და არტისტი დაუყოვნებლივ დააპატიმრეს, წერილში მოხსენიებული სხვა მოქალაქეების მიმართ კი უკვე ღია საგამოძიებო ქმედებები დაიწყეს.

1 აპრილს შს მინისტრის გზავნილს გაეცნო სკკპ ცკ-ის კულტურის განყოფილების გამგე პოლიკარპოვი, ხოლო სამი დღის შემდეგ ქაღალდი სკკპ ცკ-ის მდივნისა და პრეზიდიუმის წევრის ეკატერინა ფურცევას მაგიდაზე დაიდო. თანამედროვეთა მოგონებებით, ქალბატონი ფურცევა უსაზღვროდ გააფთრდა, მან კონსერვატორიის საქმის გახილვა სსრკ-ის კულტურის მინისტრს მიხაილოვს დაავალა. იმანაც, გასაგებია, ცდა არ დააკლო.

მოსკოვის კონსერვატორიაში მიკვლეული და მარტში დაწყებული ჰომოსექსუალისტებისა და პედოფილების დაპატიმრება 1959 წლის აპრილშიც გაგრძელდა. მიხაილოვი ჩამოთვლიდა მათ გვარებს და აღნიშნავდა, რომ **„ეს და სხვა პედაგოგები მრავალი წლის მანძილზე ხრწნიდნენ ბიჭებს — ცენტრალური მუსიკალური სკოლის მოსწავლეებს და ჭაბუკებს — კონსერვატორიის სტუდენტებს“. შსს-ს მონაცემებით 1948-1959 წლებში გახრწნეს ასამდე ბავშვი და ახალგაზრდა.**

საბოლოოდ, სხვადასხვა მონაცემებით, კონსერვატორიის 4-დან 6 პროფესორს, პედაგოგსა და კურსდამთავრებულს 154-ა მუხლით 2-დან 6 წელი მიესაჯა, 6 კაცი სამსახურიდან გაათავისუფლეს, სტუდენტებზე განხორციელდა **„მკაცრი პარტიული და კომკავშირული კონტროლი“.**

შერისხულთა შორის აღმოჩნდა გამოჩენილი პიანისტი და პედაგოგი **ნაუმ შტარკმანი,** რომელიც 1958 წელს პ. ჩაიკოვსკის პირველი საერთაშორისო კონკურსის ლაურეტი გახდა. უკვე 1959 წელს იგი მამათმავლობის ბრალდებით დააპატიმრეს და მართალია მხოლოდ ერთი წელი იჯდა, მაგრამ შემდეგ ფაქტობრივად „პროფესიაზე აკრძალვა“ მიიღო. ღია კონცერტებით გამოსვლის და პედაგოგობის უფლებას არ აძლევდნენ. ასე გრძელდებოდა... 1987 წლამდე...

სხვათა შორის, პედერასტობისათვის რამდენიმე წლით ვირის აბანო ახეხინეს ცნობილ კინორეჟისორს, სერგო ფარაჯანოვს.

1973 **წელს** ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციამ ჰომოსექსუალობა ფსიქიკურ აშლილობათა სიიდან ამოიღო. 1990 წელს კი მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ცვლილება შეიტანა დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციაში (მე-10 შესწორება) და ჰომოსექსუალიზმი ამოშალა დაავადებათა სიიდან, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ეს სექსუალური გამოხატვის მისაღები ფორმაა!

ისე, როგორც ერთ დროს კომუნიზმის აჩრდილი დადიოდა ევროპაში, დღეს ლგბტ აჩრდილი დააბიჯებს მსოფლიოში. მძლავრად, ძლევამოსილად. ერთსქესიანთა ქორწინება უკვე მრავალ ქვეყანაში დაკანონდა, ბოლოს — საფრანგეთში (ჯერჯერობით რუსეთს ვერ შეაბეს ეჟვანი) თავისი პედერასტობას არ მალავენ ევროპელი მინისტრები, ბურგომისტრები. ორი კაცის გაუპატირების ბრალდებით დააკავეს ინგლისის ვიცე-სპიკერი ნაიჯელ ევანსი...

ასაკოვან თბილისელებს გვახსოვს, დედაქალაქში ფეხაკრებით, მორიდებით მავალი პედერასტები ტუზიკა, ქიშო და სხვები., ამ სხვებში იყვნენ გამოჩენილი ხელოვანი, დიდი ბალეტმაისტერი თუ ცნობილი არქიტექტორი... დღეს კი მესაჯდომეებმა ამაყად წამოყვეს თავი: აღლუმების გამართვას ცდილობენ, საკუთარი სიბილწის საქვეყნოდ გამოფენას ეშურებიან. იმ დღეს ტელევიზიით ჭაბუკი ვინმე პედერასტი მოგვევლინა: დიახაც ჰომოსექსუალი ვარ და ამით ვამაყობო(?!), დიაღაც გავთხოვდებიო.

ძნელია ამის მშობლიურ ენაზე მოსმენა. ძნელია იმის აღიარება, რომ საქართველოში არატრადიციული ორიენტაციის ხალხი მომრავლდა. ისიც სათქმელია, რომ ზოგი მათგანი მოდას („დასავლური ცხოვრების ხიბლს“) აჰყვა, ზოგს მხოლოდ ინტერესი აქვს, ზოგიც ვნებას და ცხოველურ ინსტიქტს იკმაყოფილებს.

ყოველთვის მიკვირდა: რატომ არის აუცილებელი საკუთარი სამარცხვინო ორიენტაციის სახალხოდ გამოჭენება, რა აუცილებელია მთელმა ქვეყანამ გაიგოს, რომ ცისფერი ან ვარდისფერი ხარ და ამით ამაყობ (რა გაქვს საამაყო, ყელამდე მძღ.ერში ზიხარ, შე პედერასტო!).

არადა ეს იმ ქვეყანაში ხდება, სადაც ჰომოფობია იმდენად მაღალია, რომ კაცისთვის ცისფრობის დაბრალებაც კი მომაკვდინებელია. გვახსოვს: სხვაფრივ რომ ვერ მოერივნენ, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, უშიშროების საბჭოს მდივანი იმით წააქციეს, რომ ჰომოსექსუალობა დასწამეს (ამაში განსაკუთრებით საქართველოს დიდმა დამაქცევარმა, „გვარდიის სარდალმა“ თენგიზ კიტოვანმა გამოიდო თავი) და შუბლში ტყვია დაახლეკინეს.

ზურაბ ჟვანია მოკლეს, მაგრამ ეს არ აკმარეს და ჰომოსექსუალობის ინსცენირებით გასვრილი გაისტუმრეს იმქვეყნად.

ჰომოფობია საქართველოში მაღალია.

საქართველო მზად არის, აღიაროს ლგბტ პირების „უფლებები“.

სწორედ ამ „უფლებების აღიარებად“ და დაკანონებად ჩათვალა ხალხმა კანონპროექტი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რასაც ამდენი ხმაური მოჰყვა.

დაბოლოს: ჰომოსექსუალს, თუ იგი სადღაც ჩუმად, თვალსმიფარებულად იკმაყოფილებს ბილწ ვნებას, თუნდაც სარი უკრავს თავის გაოხრებულ უკანალში, მაგრამ მამათმავლობა უნდა დაისაჯოს, თუკი იგი საზოგადოების მიზნებს საჯაროდ ლახავს. ასეა ეს!

ალეკო ასლანიშვილი

როცა მრწამსი შავია...

ერთი განცხადების თაობაზე

გასული კვირის მოვლენებმა „წარუშლელი“ შთაბეჭდილება დატოვა არა მარტო ჩემზე, არამედ პოლიტიკურ ცხოვრებაში მეტ-ნაკლებად ჩახედულ ადამიანებზე. თავდაცვის მინისტრის განცხადებამ, აშშ-ის გაკეთებულმა, დამარწმუნა, რომ ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლება დიდი ხანია ასცდა მთავარ ღერძს, რომელზეც ნებისმიერმა მთავრობამ უნდა იტრიალოს.

ამ ხელისუფლებისგან მეტის იმედი ძნელად შეიძლება საზოგადოებას ჰქონოდა, მაგრამ ხელისუფალთა არაპროფესიონალიზმმა, ერთმანეთთან ფარულმა თუ ღია კინკლაობამ, პოლიტიკურ სარბიელზე საკუთარი პოზიციების გამყარების სურვილმა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. როგორც ჩანს, „ოცნების“ კოალიციაში გათიშვის სურვილი მწერვალებისკენ მიიწევს, რაც იმის მაუწყებელია, რომ კოალიციის წევრ პარტიებს სხვა კოალიციების ძებნა მოუწევთ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში წარმატების მისაღწევად.

სხვა კოალიციების, ვინაიდან არც ერთი მათგანი მზად არ არის დამოუკიდებელი ბრძოლისთვის და, რაც მთავარია, გამარჯვებისთვის. სავარაუდოდ, არც თეთრ ცხენზე ამხედრებული ივანიშვილის პოლიტიკური შემობრუნების შანსი ჩანს და არც 2012 წლის გმირის პატრიოტულ-გამაერთიანებელი შეძახილი, რომელმაც უზრუნველყო იმ წლის გამარჯვება.

ბრძოლა საპარლამენტო სავარძლებისთვის კარგა ხანია დაიწყო, უპირველესად კოალიციაში შემავალი პარტიების ლიდერთა ხმაურიანი განცხადებებით, ხშირად არაპატრიოტული, არაპროფესიონალური, ერის და ქვეყნის ფეხზე დაკიდებით. თუმცა, რა დროს ერი და ქვეყანაა, როდესაც შენი პირადი საქმე გაქვს გასაკვარახჭინებელი?!

საკუთარი პოზიციების აშკარა გაკვარახჭინების მაგალითი იყო ალასანიას ამერიკული განცხადება, რომლის არსი ასეთია – საქართველო, რომ გადაურჩეს რუსეთის აგრესიას, საჭიროა ნატოს მიერ რუსეთის შეტევის შემაკავებელი სამხედრო იარაღის განთავსება საქართველოში.

მადლობა მინისტრს, საქართველოს უსაფრხოებაზე ზრუნვისთვის, მაგრამ მართლა საქართველო ადარდებს ამის მთქმელს, თუ საკუთარი პერსონა?

ჩავუღრმავდეთ მინისტრის ნათქვამს. ერთის შეხედვით, ცუდი არაფერია ამ ნათქვამში, მაგრამ ეს პოლიტიკური დილეტანტებისთვის. მინისტრი მოითხოვს ნატოსგან თავდაცვითი სისტემების განლაგებას არანატოს წევრ ქვეყანაში, რაც თავისთავად უტოპიაა. ნატოს არაწევრ ქვეყანაში კი არა, წევრ სახელმწიფოშიც, ამგვარი გადაწყვეტილების მიღება ასე ჰარი-ჰარად რომ არ ხდება, მინისტრმა უნდა იცოდეს. თუ არ იცის, არც ეს არის გასაკვირი, ვინაიდან პროფესიონალი პოლიტიკოსი, დიპლომატიაში ნამსახურები იმდენ შეცდომებს უშვებს თავისი გამოსვლების დროს, რომ უკეთესს ვერ ინატრებდნენ საქართველოს მიმართ მტრულად განწყობილი პოლიტიკოსები.

დავუშვათ, რომ არ იცის ეს „ნიუანსები“, მაგრამ ის ხომ მაინც უნდა იცოდეს, რომ თავდაცვითი სისტემის განთავსება სწრაფად და ოპერატიულად არ ხდება, ვინაიდან გადაწყვეტილების მიღების პროცესი და პროცედურა დროშია გაწელილი. ხუმრობა ხომ არ არის, ნატოს წევრი ქვეყნების შეჯერება ამ საკითხზე?

დავუშვათ, რომ შეჯერდნენ, იარაღის განთავსებას დრო სჭირდება. ამასობაში უკრაინის კონფლიქტიც მოთავებული იქნება და ნატო-რუსეთს შორის ურთიერთობებიც – გარკვეული. რუსეთის შიშით ითხოვს ალასანია ნატოს იარაღს.

დავუშვათ, ეს პრობლემაც დავძლიეთ და იარაღიც განთავსდა საქართველოს ტერიტორიაზე, ვინ მოემსახურება ამ იარაღს? არ მითხრათ, ქართველი სამხედროებიო! გახსოვთ ალბათ, სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, მის მიერ აშშ-სთვის მიმართული წინადადება – რუმინეთ-ბულგარეთში კი არ განათავსოთ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები, არამედ საქართველოშიო.

ვაშინგტონმა შეაქო სააკაშვილის თავგასაპნულობა, მაგრამ ისიც დაამატა, ამ სისტემების მომსახურებას ქართველები ვერ უზრუნველყოფენო.

ის, რასაც ალასანია ითხოვს, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები არ არის, მაგრამ არც არაფრით ჩამორჩება მათ. განლაგების შემთხვევაში მომსახურება ნატოს სამხედროებმა უნდა უზრუნველყონ. იქ, ქართველი სამხედრო, მხოლოდ მესამეხარისხოვანი დამხმარე პერსონალი იქნება.

ანალოგიური ვითარება იქნება რუმინეთ-ბულგარეთში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსების შემდეგ. იქ დადგმულ ამერიკულ სისტემას, ამერიკელი სამხედროები მოემსახურებიან. მსგავსი რამ იქნება აქაც, თუ ნატო თავის სისტემებს განათავსებს.

რას ნიშნავს ეს?

უპირველეს ყოვლისა, ნატოს ჯარის შემოყვანას საქართველოში. არ აქვს მნიშვნელობა ერთი სამხედრო იქნება, თუ ასი – მთავარია ფაქტი – ნატოს ანტირუსული რაკეტების განთავსება, რაც თავისთავად არის, ისედაც მტრულად განწყობილი რუსეთის კიდევ უფრო გაღიზიანება, შესაძლოა, აგრესიამდე. რუსეთი კატეგორიული წინააღმდეგია საქართველოს ნატოში გაწევრების და ნატოს საბრძოლო იარაღის საქართველოში განთავსება „დე ფაქტო“ ნატოში შესვლად აღიქმება მისი მხრიდან.

მინისტრი, რომელიც ესოდენ მყვირალა მოთხოვნით წარდგა ამერიკელთა წინაშე – არის თუ არა შორსმჭვრეტელი? პასუხი თქვენთვის მომინდვია.

ჩემის აზრით კი, თავდაცვის მინისტრი, რომელიც მსგავსი მოწოდებით მიმართავს რუსეთის ნომერ პირველ მტერ აშშ-ს, არის რუსეთის გამაღიზიანებელი, პირი, რომელიც ვერ ან არ ზომავს რა შეიძლება მოჰყვეს თუნდაც ამ განცხადებას, აღარაფერს ვამბობ ქმედებაზე.

მავანი იტყვის, რა მოხდა, წამოსცდაო. კეთილი, მაგრამ თავდაცვის მინისტრს არ უნდა წამოსცდეს, ვინაიდან მისი თითოეული სიტყვა პოლიტიკურ საცერში ტარდება.

ალასანიამ გააკეთა სკანდალური განცხადება, მაგრამ მარტო ალასანიამ?

თავდაცვის მინისტრს ესოდენ დიდი პასუხისმგებლობა თავისთავზე არ უნდა აეღო. მსგავსი სახის განცხადებას ქვეყნის პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი უნდა აკეთებდეს ან საგარეო საქმეთა მინისტრი, თან იმის მოხსენიებით, რომ ასრულებს პრეზიდენტის ან პრემიერის დავალებას. ალასანიას არც ერთი არ უხსენებია, ანუ თვით გამოხტა სამგლე გოჭივით, რაც მისთვის დამახასიათებელია.

რა გაეწყობა, კაცს დიდი პოლიტიკისკენ უწევს გული, ეს, კი უბრალოდ, იმის მაუწყებელია, რომ ხელისუფლებაში არავითარი სუბორდინაცია არ არსებობს, ვისაც რა სურს, იმას გაიძახის, თანაც უცხოეთში, ვინაიდან იქ ნათქვამი უფრო წონადია. სად სენატორ მაკკეინისა და მის მსგავსთა კამპანიაში ნათქვამი და სად თბილისში გაკეთებული განცხადება.

ალასანიას ნათქვამი უმალ აიტაცა „რუსთავი-2“-მა და თბილისში მყოფი აპატურაი სპეციალურად მიიწვია სტუდიაში ამ თემაზე სასაუბროდ. ჟურნალისტმა კატეგორიულად მოსთხოვა პატივცემულ ჯეიმსს, ალასანიას „ბრძნული“ წინადადების კომენტირება და საქართველოსთვის „მაპის“ მინიჭების საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება.

ამ ტელეკომპანიის და მისი ჟურნალისტების საყურადღებოდ – აპატურაი არის ბრიუსელის ერთერთი მოხელე, რომელიც ვერაფრით იტყვის, საქართველოს მისცემენ თუ არა „მაპს“. აპატურაის ნათქვამი ვის რად სჭირდება, როდესაც „ნატოს“ ყველაზე დიდმა შეფმა ობამამ ბრძანა – საქართველო არ დგას ნატოს გზაზეო. სამწუხაროდ, ასეთი ჟურნალისტების წყალობით, ჩვენ იმ ქვეყნად ვიქეცით, რომელმაც თავმოყვარეობა დაკარგა და სულ მუდამ ყელგამოწვდილ ხვეწნაზეა გადასული, აპატურაი ვინ არის და იმასთანაც.

დავუბრუნდეთ ჩვენს „ბიჭუნა“ თავდაცვის მინისტრს. მსგავსი განცხადება, თუნდაც პრეზიდენტ-პრემიერის დავალებით, მიუღებელია. მოთხოვნის წყარო ქართველი ხალხი უნდა იყოს, რამეთუ ნატოს ჯარის საქართველოში განლაგება ხალხის და არა მთავრობის გადასაწყვეტია. მთავრობა კი 2008 წლის პრეზიდენტის არჩევნების დროს მიტმასნილ, „ნატოში“ შესვლის საკითხით აპელირებს.

არადა ნატოში ყოფნა-არყოფნა გაცილებით სერიოზული თემაა, ვიდრე პრეზიდენტის არჩევნები. პრეზიდენტები მოდიან და მიდიან, თუ არ წავიდნენ, წაიყვანენ, რის მაგალითებიც უხვადაა საქართველოში, აი, ნატოში ყოფნა-არყოფნა მთელი ქვეყნის საკითხია. 2008 წელს არავის მიუქცევია ყურადღება ამ საკითხისთვის, მთავარი იყო პრეზიდენტის არჩევა, ცხადია, არა სააკაშვილის.

მაშინ არჩეული სააკაშვილი აღარ არის, ხოლო არჩევნებს მიტმასნილი საკითხი, ხალხის მიერ არასერიოზულად აღქმული, მაგრამ ამერიკელთა მიერ სერიოზულად გაბუქებული, სავალალო დღეში აგდებს ქვეყანას.

დღევანდელ, ისე, როგორც წინანდელ ხელისუფლებას, ხელზე აქვს დახვეული მაშინდელი პლებისციტის შედეგები და ცხვირწინ გვიფრიალებს, თქვენ არ გადაწყვიტეთ 70-ზე მეტი პროცენტითო?

ამას წინათ, ალასანიას მეგობარმა მინისტრმა პეტრიაშვილმა ისიც კი ბრძანა - საქართველოს მოსახლეობის 85% მოითხოვს ნატოსა და ევროკავშირში შესვლასო. ასეთ დროს, ისღა დაგვრჩენია, დავიგინოთ, მტყუანის?!

ალასანიას, პეტრიაშვილის და მათი მსგავსი „პოლიტიკოსების“ პოლიტიკური სიცოცხლე პეპელას ჰგავს, მაგრამ მათ მიერ ჩადენილი შეცდომა ხანგრძლივია. ნატო და ევროკავშირი ისეთი თემებია, ძალაუნებურად რომ ითხოვს ხალხის აზრს, ხალხის გადაწყვეტილებას. ხალხმა, ქვეყანამ არ უნდა იცეკვოს ვიღაცის, თუნდაც ხელისუფლების დაკრულზე. მას თავისი მუსიკა უნდა ჰქონდეს, მის არსებაში გაჟღენთილი. ის, არ უნდა მიჰყვებოდეს, თანაც ცხვარივით, უსინდისო პოლიტიკურ თხებს, რომლებსაც მხოლოდ საკუთარი თავი ადარდებთ და არა ქვეყანა.

ალასანიას, ამერიკაში ნათქვამის მიღმა მთავარ ის არის, რომ თავი მოაწონოს ამერიკელ პოლიტიკოსებს, აფიქრებინოს მათ, რომ ის, და მხოლოდ ის, არის ამერიკული სისხლი და ხორცი, რომ ის გაცილებით მეტად ამერიკელია, ვიდრე სხვა, რომელიმე ქართველი პოლიტიკოსი, მაგალითად უსუფაშვილი. ამ უკანასკნელმაც ხომ თავი მარტო იურიდიული საკითხების მცოდნე „კლერკად“ წარმოგვიჩინა და არამცდაარამც პოლიტიკოსად.

როგორც ჩანს, პოლიტიკოსობა ყველა იურისტის ხვედრი არ არის, მით უმეტეს კარგი პოლიტიკოსობა. როდესაც პარლამენტის თავმჯდომარე თავს უფლებას აძლევს ხალხს ულტიმატუმით ელაპარაკოს – ყველაფერი ნათელი ხდება. ყბადაღებული დისკრიმინაციული კანონის მიღებასთან დაკავშირებით გაკეთებულ სატელევიზიო გამოსვლის დროს მან უხეშად ახსენა - არ გინდათ ევროპა, იყავით რუსეთში.

რატომღაც ამ კანონის მიღება და საქართველოს ევროკავშირის ასოცირებულ წევრად გახდომა სისხლისმიერად დაუკავშირდა ერთმანეთს, მაგრამ იქნებ არა სისხლისმიერად, არამედ უკანალისმიერად?

მოკლედ, ხელისუფალთა განმარტებით, თუ პედერასტიას არ ვეთაყვანეთ, ევროკავშირში ვერ შევალთ. ევროკავშირის ასოცირებული წევრი გავხდებით, მაგრამ ევროკავშირის წევრობაზე, დიდი ბოდიში, მთელმა საქართველოს მოსახლეობამ ერთხმად რომ აღიაროს, მამათმავლები ვართო, ევროკავშირში არავინ მიგვიღებს.

მაშ, რატომ ირჯის თავს ხელისუფლება? მხოლოდ იმიტომ, რომ ბრიუსელის მამათმავლებმა ჯეროვნად დააფასონ საქართველოს მთავრობის ძალისხმევა და დააფასონ მატერიალურად. თუ ვინმეს სურს ევროკავშირში შესვლა, ხელისუფლებაა და არა ხალხი. ხელისუფლება ისე აშინებს ხალხს – ამ კანონს თუ არ მივიღებთ, იქ არ შეგვიშვებენო, თითქოს ხალხს, მართლაც ევროკავშირის ასოცირებული წევრობა უნდოდეს.

უბედურებაა, როდესაც ხალხს უმტკიცებს ხელისუფლება, ევროკავშირის ასოცირებული წევრობა გინდაო. არადა ხალხს რაც უნდა, მარტივია – რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის ქონა, საკუთარი მწირი პროდუქტის რუსეთის ბაზარზე გატანა.

ხალხმა კარგად იცის, რომ არც ევროკავშირი და არც ამერიკა ამ პირობების შემქმნელი არ არიან. მათ თავიანთი პრობლემებიც უხვად აქვთ. ქართულით თავს არ შეიწუხებენ. დღემდე არ შეუწუხებიათ და რაღა ახლა შეიწუხებენ?!

ხალხმა იცის, რომ მისმა ხელისუფლებამ ისეთ პროდასავლურ ჭაობში შეტოპა, უკან გამოსვლა რომ გაუჭირდება.

ალასანიას განცხადება რატომღაც დაემთხვა ბალტიის და შავი ზღვისპირა ზოგიერთი ქვეყნის განცხადებას, უფრო სწორად თხოვნას აშშ-სადმი, საკუთარ ქვეყნებში ამერიკული სამხედო ბაზების განლაგებასთან დაკავშირებით. ქვეყანა, რომელიც დაბეჯითებით ითხოვს სხვის ჩექმას, შორს არის სუვერენულობის ცნებისგან. ქვეყანა, რომელიც რუსული საფრთხის გამო, მოითხოვს ამერიკული სამხედრო ბაზის განლაგებას, საკუთარი მენტალიტეტიდან, მრწამსიდან გამომდინარე, მონური აზროვნებისაა.

ერთობ გასაოცარ ვითარებასთან გვაქვს საქმე. სამხედრო ბაზების განლაგების მსურველი ქვეყნები რახანია ნატოს წევრები არიან. რა გამოდის? ნატოს სამხედრო ძალები ვერ დაიცავენ ამ ქვეყნებს რუსული აგრესიისგან? განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კრემლს ევროპაში შეჭრის სურვილი არა აქვს? მაინც რა დონის გაღიზიანებას უნდა ველოდოთ ამ ქვეყნების მხრიდან, რუსეთის მისამართით, რომ ეს უკანასკნელი, იძულებული შეიქმნას ევროპაში შესაჭრელად? უნებლიედ იბადება გულუბრყვილო კითხვა – ეს ქვეყნები ასეთი ბრიყვები არიან, ამას რომ ითხოვენ, თუ იძულებით, ვიღაცის დაკრულზე ცეკვავენ?

ეს, ვიღაცა აშშ-ია, რომელსაც, როგორც ჩანს, რუსეთის ირგვლივ უფრო მეტი სამხედრო ბაზის განლაგება სურს. ნამუსი აღარ არის? ქვეყანას, რომელსაც ევროპაში 75 სამხედრო ბაზა აქვს, უფრო მეტი უნდა. „მახვეწარი“ ქვეყნები არათუ ნამდვილი დემოკრატიიდან არიან შორს, არამედ თავისუფლების მცნებისგან, ისე, როგორც ჩვენი სტატიის „გმირი“. მასპინძელმა ამერიკელებმა, მცირედი გარჯით ათქმევინეს „დამოუკიდებელი“ ქვეყნის მინისტრს - ნატოს ჩექმა გვინდაო.

„მახვეწარი“ ქვეყნის „სურვილიდან“ გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ნატოს ვერავითარი სამშვიდობო გარანტიის მიცემა არ შეუძლია. არის თუ არა მსგავსი თხოვნა ამერიკელებისადმი იმ სამხედრო ორგანიზაციის შეურაცხყოფა, რომელშიც ისინი არიან? თუ ისინი (მახვეწარები) თავს დაცულად ვერ გრძნობენ ნატოში - ჩვენ რა ბუზანკალი შეგვიჩნდა „ნატო, ნატოს“ რომ გავყვირივართ?

სულ ახლახანს, ნატომ თავის დოკუმენტებში ერთი სიტყვა შეცვალა – „პარტნიორი“ „მტერზე“. ცვლილება რუსეთს ეხება. ცვლილებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ის, რის შესახებაც მოსკოვი დაბეჯითებით ამბობდა - ნატო არის სამხედრო ორგანიზაცია, შექმნილი რუსეთის წინააღმდეგო.

სიტყვათა ამ ცვლის შემდეგ ნათელი გახდა (ბევრისთვის ყოველთვის ნათელი იყო), რომ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება რუსეთის რკალში მოქცევისთვის ხდება და არა მოგონილი ე.წ. კეთილშობილური მიზნებისთვის. ბევრჯერ გვსმენია ძველი და ახალი ხელისუფლებისგან, რომ ნატოში საქართველოს შესვლა არ არის მიმართული რუსეთის წინააღმდეგ. ახლა ხომ მაინც დავრწმუნდით, თუ რა მიზნებს ისახავს ნატო?

ნატოში შესული საქართველოც რუსეთისადმი მტრულად განწყობილი კავშირის წევრი გახდება. ჩვენს საკუთარ „მტრობას“, ნატოურიც დაემატება, რაც თავისთავად გამოიწვევს რუსული რაკეტების ჩვენს ბედკრულ ქვეყანაზე დამიზნებას. დამიზნება ცუდია, მაგრამ გასროლა – მოგაკვდინებელი, რის შემდეგაც აზრი აღარ ექნება ნატო-ამერიკის სამხედრო დახმარებას. უწევს ყოველივე ამას თავდაცვის მინისტრი ანგარიშს? თხოვნიდან გამომდინარე – არა!

უკრაინაში მიმდინარე ომში დროებითი „ხელისუფლება“ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ტანკებს, ქვემეხებს, ავიაციას იყენებს და ყოველივე ამას ოფიციალური ვაშინგტონის მოთხოვნით აკეთებს, რაც თავისთავად აშშ-ის ადმინისტრაციის მზაკვრულ გეგმებს – ჰეგემონიზაციისთვის უკომპრომისო ბრძოლას.

ამ ბრძოლაში სახის ფერს არა აქვს მნიშვნელობა. როდესაც აშშ-ის ფერადკანიანი პრეზიდენტი მხარს უჭერს თეთრკანიან უკრაინელ ფაშისტებს – მრწამს და არა ფერს აქვს მნიშვნელობა. მრწამსი კი ძალიან, ძალიან შავია. მან არ იცის მეგობრის

ცნება, თუნდაც პარტნიორი ქვეყნის. რაც მან იცის – საკუთარი თავის პატივისცემა და ამ გზაზე ბარიერად აღმართული ან არამლიქვნელი ქვეყნისთვის წირვის გამოყვანაა.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.



ნაყოფიერი, აქტიური, შემოქმედებითი გზით

გურამ პაპუნიძე – 70

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრის, უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის, აკადემიკოს გურამ პაპუნიძის დაბადებიდან 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობიდან 45 წლის იუბილე აღინიშნა. ღვაწლმოსილ მეცნიერს იუბილე მიულოცეს და მის ღვაწლზე ისაუბრეს უნივერსიტეტის რექტორმა, აჭარის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლებმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, პროფესორ-მასწავლებლებმა, კოლეგებმა, საზოგადოების წარმომადგენლებმა და მეგობრებმა. საიუბილეო სხდომაზე კიდევ ერთხელ წარმოჩნდა მკვლევარის სამეცნიერო კვლევა-ძიების შედეგები და ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში შეტანილი წვლილი.

გურამ პაპუნიძეს რამდენიმე ათეული წელია, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქართული მეცნიერების განვითარებასა და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. იყო საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უზენაესი საბჭოს წევრი, ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, არჩეულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წევრად და მევენახეობა-მეღვინეობის დარგის მთავარ მეცნიერ-კონსულტანტად.

გურამ პაპუნიძემ ნაყოფიერი და აქტიური შემოქმედებითი გზა განვლო და, ალბათ, სხვანაირად ვერ მოიქცეოდა, რადგანაც მის ოჯახში ამისათვის ყველა პირობა იყო შექმნილი. მშობლებმა რაფიელმა და მარიამმა შვილებს ბავშვობიდანვე შრომისადმი განსაკუთრებული სიყვარული და დამოკიდებულება ჩამოუყალიბეს. ისინი თანაბრად მომთხოვნი იყვნენ ოჯახის სამეურნეო საქმეებში მონაწილეობისა და სწავლის მიმართ. ბავშვობიდანვე ჩამოუყალიბდათ შვილებს საკუთარი არჩევანი, რომელიც მეცნიერებისა და განათლების სფერო აღმოჩნდა. ერთი ოჯახიდან სამი მაღალი დონის მეცნიერის გამოსვლა დიდი მოვლენაა პაპუნიძეების ოჯახისათვის, რეგიონისა და ქვეყნისათვის.

გურამ პაპუნიძემ ბავშვობიდანვე აითვისა ვაზის ნერგების გამოყვანის, გაშენების, მოვლის აგროტექნოლოგიები, ღვინის დამზადების ტექნოლოგიები. სწორედ აქედან დაიწყო მისი პროფესიული ორიენტაცია, რამაც ის წარჩინებული მოსწავლიდან სოფლის მეურნეობის აკადემიკოსობამდე მიიყვანა. 1961 წელს გურამ პაპუნიძე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა, მეღვინეობის ტექნოლოგიის მიმართულებით. 1964-67 წლებში იმყოფებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. 1970 წელს გურამ პაპუნიძემ წარმატებით დაიცვა სადიპლომო შრომა და მიენიჭა ინჟინერ-ტექნოლოგის მეღვინის კვალიფიკაცია. მისი არჩევანის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა ცნობილმა მეცნიერმა, საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ანდრო ნიჟარაძემ, რომელმაც ახალგაზრდა სპეციალისტი 1970 წელს მიიღო აღნიშნული ინსტიტუტის ტექნოქიმიური კონტროლის ლაბორატორიაში სამუშაოდ.

1973 წელს გურამ პაპუნიძე წარმატებით ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეღვინეობის კათედრის დაუსწრებელი სწავლების ასპირანტურაში. შემდეგ ის იკავებს იმავე ინსტიტუტის ბიოქიმიისა და მიკრობიოლოგიის განყოფილებაში უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობას და იწყებს აქტიურად მუშაობას თემაზე: „სუფრის იმერული ტიპის ღვინოების ტექნოლოგიის სრულყოფა“. საკვალიფიკაციო ნაშრომის მიზანი იყო იმერული ტიპის ღვინოს დამზადების ტექნოლოგიის სრულყოფა, რომელიც უზრუნველყოფდა ღვინის წარმოების მნიშვნელოვან ზრდას. თემის მეცნიერული სიახლე ითვალისწინებდა ყურძნის მაგარი ნაწილების წინასწარ ფერმენტაციას, ასევე სამრეწველო ფერმენტული პრეპარატის გამოყენებას. მეცნიერული კვლევები წარმატებით დამთავრდა. შეიქმნა ღვინის ახალი მარკა „დიმი“, რომლის ჩამოსხმაც დაიწყო „თბილღვინოს“ ერთ-ერთ ქარხანაში.

ამასთან, ახალგაზრდა სპეციალისტის გურამ პაპუნიძის სახელთანაა დაკავშირებული თბილისის საწარმოო კომბინატში წარმოებული ღვინის მჟავას მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების დამუშავება. ის წარმატებით ახორციელებდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას სამტრესტის სისტემის ზესტაფონის, ყვარლის, გურჯაანის, თბილისის შამპანური ღვინოების, წინანდლის, თელიანის და სხვა ღვინის ქარხნებში.

1979 წელს საქართველოს მეხილეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე გურამ პაპუნიძემ დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. იმავე წელს ის დაინიშნა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანმშრომლის თანამდებობაზე.

გურამ პაპუნიძის მეცნიერული და პრაქტიკული საქმიანობის ყველაზე აქტიური პერიოდი 1980 წლიდან დაიწყო, როდესაც ის დაინიშნა საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დირექტორად. მისი ძალისხმევით ქალაქ ბათუმში ჩამოყალიბდა სუბტროპიკული ნაყოფის შენახვისა და გადამუშავების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტულ- საკონსტრუქტორო ინსტიტუტი. ამით ფართო ასპარეზი შეიქმნა არა მარტო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დანერგვისათვის, არამედ მეცნიერული კვლევების გაფართოებისა და ახალგაზრდა კადრების მომზადებისათვის.

გურამ პაპუნიძემ შეძლო იმ დროისათვის აგრარულ სექტორში არსებული გამოწვევების შესატყვისი სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და დანერგვითი სამუშაოების დაგეგმვა და განხორციელება, რამაც ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსს დიდი ეკონომიკური ეფექტი მოუტანა. კვლევის შედეგები საინტერესო და მისაღები იყო მთელი საბჭოური ეკონომიკური სივრცისათვის. მათ შორის უნდა აღინიშნოს:

– სუბტროპიკული ნედლეულის კომპლექსური უნარჩენო და ნაკლებად ნარჩენიანი ტექნოლოგიების დამუშავება და მისი სამრეწველო ათვისება;

– მანდარინის ნატურალური წვენების კონცენტრატების წარმოების ტექნოლოგიის შემუშავების მიზნით გამოიყენებოდა ქვეყნის საკონსერვო ქარხნებში მოქმედი მძლავრი ვაკუუმამაორთქლებელი დანადგარები. აღნიშნული ტექნოლოგიის დანერგვის საფუძველზე, მოხერხდა 100 ათასობით ტონა მანდარინის ნედლეულის სამრეწველო გადამუშავება.

– დიდი რაოდენობით მანდარინის ნატურალური წვენების კონცენტრატების გამოშვებამ დღის წესრიგში დაყენა მეორადი ნედლეულის ე.წ. ნარჩენის გადამუშავება, რომელიც მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით. ინსტიტუტს მეცნიერების მიერ შემუშავებული ტექნოლოგიის საფუძველზე მიიღო სამედიცინო პრეპარატი ვიტამინ P და პექტინი, ასევე დამუშავდა ტექნოლოგია, რომლის საფუძველზეც დამზადდა შაქარში გაჯერებული ხორხოშელა, რომელიც თავისუფლად ცვლიდა ისეთ ძვირადღირებულ პროდუქტს, როგორიცაა ყურძნის ქიშმიში.

– მეციტრუსეობის დარგის რენტაბელობის ამაღლების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა არატრადიციული ნედლეულის – ციტრუსის ყვავილის გამოყენებას, რომლის ექსტრაქციის ბაზაზე დამზადდა ვაჟინი, ხელოვნური თაფლი, უალკოჰოლო სასმელები, ლიქიორი და ა.შ.

– მსოფლიო გრანტის ფარგლებში გურამ პაპუნიძემ ინსტიტუტის წამყვან მეცნიერებთან ერთად დასავლეთ საქართველოს ტენიან სუბტროპიკულ ზონაში 2 ჰა ტერიტორიაზე წარმატებით გაავრცელა სტევიას კულტურა, რომლის ბაზაზე დამზადდა უკალორიო ფხვნილი, რომლის შაქრიანობა 300–ჯერ ჭარბობს ჩვეულებრივი შაქრის სიტკბოს და წარმოადგენს პროფილაქტიკურ საშუალებებს დიაბეტით დაავადებული პაციენტებისათვის;

– გურამ პაპუნიძემ და ინსტიტუტის სპეციალისტებმა შეიმუშავეს და დაამტკიცეს ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია ასობით ნატურალურ კონკურენტუნარიან საკონსერვო პროდუქციაზე;

–სუბტროპიკული ნაყოფის შენახვის უნარიანობის გაზრდის მიზნით, წარმატებით გამოიყენა ცვილის სამამულო კომპოზიციები, მიკრობგაუმტარი ქაღალდი და სხვა შენახვის თანამედროვე საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფდა ნაყოფის შენახვის უნარიანობის გაზრდას.

– გურამ პაპუნიძის ხელმძღვანელობით ინსტიტუტში სერიოზული სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტულ-საკონსტრუქტორო საქმიანობა განხორციელდა, მათ შორის:

– ვაშლის დამკალიბრებელი, გულობის ამომღები, დამჭრელი და კანის გამცლელი მაქსიმალურად მექანიზებული ხაზი, რომელიც უზრუნველყოფდა აღნიშნული ნედლეულიდან ისეთი ორიგინალური პროდუქციის დამზადების გაფართოებას, როგორიცაა ვაშლის კომპოტი;

– მანდარინის დამკალიბრებელი მაღალი წარმადობის ხაზის საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება და მისი წვრილსერიული გამოშვება ქვედარგისათვის საჭირო რაოდენობით;

– მანდარინის დამკალიბრებელი და ორიენტირებული ნაყოფის ყუთში მჭიდროდ ჩაწყობის რობოტის ტიპის ტექნოლოგიური ხაზი, რომელიც უზრუნველყოფდა, ტარის, სატრანსპორტო და სასაწყობო საშუალებების მარგი ქმედების კოეფიციენტის 15-16 პროცენტით გაზრდას;

– შეიქმნა მანდარინის ნაყოფის კანის გამცლელი მაქსიმალურად მექანიზებული ხაზი;

– გურამ პაპუნიძის მიერ შესრულებული იქნა ფართო მასშტაბის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები აჭარის რეგიონში ახალი და გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გამოცდის, გავრცელების და დარაიონების მიმართულებით.

გურამ პაპუნიძის უშუალო ინიციატივით 1993 წელს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში პარალელურად დაიწყო საგანმანათლებლო საქმიანობა.

1990 წლიდან მეცნიერის ინტერესის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება გახდა მეცნიერებისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის გაფართოება, ეროვნული მეცნიერული პოტენციალის შენარჩუნება და გაფართოება. მან 28-წლიანი უცვლელი დირექტორობის პერიოდში, მიუხედავად არაერთგზის ორგანიზაციულ-სტრუქტურული, დაქვემდებარებისა და იურიდიულ-სამართლებრივი ცვლილებებისა, შეინარჩუნა და გააფართოვა მეცნიერული კვლევები.

* * *

გურამ პაპუნიძის მიღწევებს მეცნიერებაში ასე აფასებენ ქართველი აგრარიკოს მეცნიერები.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე:

– გურამ პაპუნიძემ შეძლო ახალი სუბსტრატი გამოევლინა და მასზე აეგო მიკრობიოლოგიური კვლევა. ამ მიზნით შეასრულა მეტად შრომატევადი სამუშაო. მიღებული შედეგები სერიოზული შენაძენია ციტრუსის ფიზიკო-ქიმიური, ბიოლოგიური და ტექნოლოგიური კვლევის საერთაშორისო პრაქტიკაში. ამასთან, მის მიერ პირველად არის შესწავლილი და პრაქტიკულად განხორციელებული ციტრუსის ნატურალურ წვენებად გადამუშავების შედეგად მიღებული მეორადი ნედლეულიდან სამედიცინო პრეპარატ ვიტამინ P და პექტინის ერთობლივ მიღების კომპლექსური ტექნოლოგიის შემუშავებას. იგი მსოფლიო მეცნიერებაში პირველად დისერტანტმა შეიმუშავა.

თენგიზ ნანიტაშვილი, აკადემიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: დისერტანტს ორიგინალური თემა შეურჩევია – ციტრუსოვანთა ნედლეულის კომპლექსური გადამუშავების ტექნოლოგიების დამუშავება და სამრეწველო დანერგვა. ნაშრომის მეცნიერული სიახლე ის არის, რომ მასში პირველადაა დამუშავებული საკონსერვო მრეწველობისათვის ახალი არატრადიციული სანედლეულო რესურსის ციტრუსის ყვავილის გამოყენების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები. მის მიერ შემუშავებული ტექნოლოგიით მოხერხდა დიდი რაოდენობით ციტრუსის სამრეწველო გადამუშავება ნატურალური წვენების კონცენტრატებად, რაც დიდი ეკონომიკური ეფექტით ხასიათდება.

გურამ პაპუნიძის, როგორც დოქტორის, მეცნიერულ-შემოქმედებითი საქმიანობის გზა არ შემოიფარგლება მხოლოდ სადისერტაციო თემაზე მუშაობით. მან ძალიან დიდი შრომა ჩადო აჭარაში ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის რესურსების შესწავლის რაციონალურად გამოყენების მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების პოპულარიზაციისა და სტიმულირების, აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების კონცეპტუალური მიდგომების ჩამოყალიბების საქმეში. მკვლევარი 160-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, 12 გამოგონების ავტორია. მას მჭიდრო კონტაქტები აქვს მსოფლიოს ისეთი ქვეყნების სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, მეცნიერებთან როგორიცაა: აშშ, საბერძნეთი, ესპანეთი, ირანი, რუსეთი, უკრაინა, ბალტიისპირეთის ქვეყნები და ა.შ.

აკადემიკოსი გურამ პაპუნიძე 1990 წლის პირველი მრავალპარტიული არჩევნების მაჟორიტარ დეპუტატად იყო არჩეული ქედის რაიონიდან. ის აქტიურად იყო ჩართული საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ ჩატარებულ რეფერენდუმში – ხელი აქვს მოწერილი ქვეყნის დამოუკიდებლობის აქტზე. მეცნიერი მრავალგზის იყო არჩეული ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

გურამ პაპუნიძე თავის აქტიურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას დღესაც წარმატებით ახორციელებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონულ ცენტრში აგრარული დარგობრივი კომისიის თავმჯდომარის და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის რანგში.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ოდისეი დიმიტრიადი

ქისტი ქალები

ცხინვალის მისადგომებთან. 1989 წლის ნოემბერი

მამაჩემი ფოტომოყვარული და თვითნასწავლი ფოტოგრაფი იყო. ეს მისი უბრალოდ ახალგაზრდობის გატაცება გახლდათ და ამ დიდი ხელოვნების ანა-ბანასა და უცნაურ სამყაროს ბავშვობიდან ვეზიარე. ჩემგან, სამწუხაროდ ფოტოხელოვანი არ დადგა, მაგრამ ბედის წყალობით გამომცემლობა სამშობლოში ჩემი რედაქციის ოთახი ზუსტად იმ დერეფანში აღმოჩნდა, სადაც გამომცემლობისა და სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების ფოტოლაბორატორიები იყო ჩამწკრივებული. აი, აქ კი, მართლაც გამიმართლა, ჩემი ბავშვობისდროინდელი გატაცებისა და მათი, ფოტოგრაფთა გულღია ხასიათის გამო უამრავი მეგობარი შევიძინე. ქართული ფოტოხელოვნების დიდოსტატები **სიომა კილაძე, ალექსანდრე სააკოვი, დათიკო იაკობაშვილი, ზურაბ დათუაშვილი, ვარლამ გენგიური, გენადი სანაია, სანდრო კოტორაშვილი, გივი ჯოლბორდი, ჯავარ ლომაძე** და მრავალი სხვა, ჩემი კეთილი მასპინძლები იყვნენ და დროის უმეტეს ნაწილს მათ ციცქნა ლაბორატორიებში ვატარებდი.

მათ შორისაა **ჯემალ კასრაძე**, რომელიც ჩემი უამრავი კოლეგის მსგავსად სააკაშვილის ზეობის პერიოდში, 2007 წლის 10 აგვისტოს, მისი ხელის ბიჭის გრიშკა ბაიბურთის ხელმძღვანელობით გამოგვყარეს გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან, ახლა ცხონებულ ლევან ჩიქვანაიას წყალობით „მერაბ კოსტავას ეზოში“ ერთ პაწაწინა ოთახშია შეკედლებული.

ერთი ციდა ოთახის კედლები, სადაც ტანმორჩილი კაციც კი განმკლავით ძლივს დადგება, ჭერამდე ჯემალის ფოტონამუშევრებითაა სავსე. ცარიელი ადგილები კი ათასფერი ფლომასტერებით აუჭრელებიათ მისთვის მიძღვნილი ლექსებით ცნობილ პოეტებსა და მწერლებს, რომლებიც მრავლად არიან ფოტოხელოვანის მეგობრებისა თუ მისი ნიჭის თაყვანისმცემელთა წრეში. ბევრი ფილოსოფიური ნააზრევიცა და თავად ჯემალის ფრთიანი გამონათქვამებიცაა. ფილოსოფიასა და ლიტერატურასთან კი ფოტოხელოვანი იმდენადაა დაკავშირებული, რომ გაგიჭირდებათ გამოყოფა კარგი მწერალია ჯემალი თუ კარგი ფოტოხელოვანი.

ეპოქის მემატიანე

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში დატრიალებული არც ერთი მოვლენა არ გამოპარვია ჯემალ კასრაძის ობიექტივს. სამების ტაძრის მშენებლობა პირველი დღიდან დღევანდლამდე ქრონოლოგიური სიზუსტითაა გადაღებული, მიტინგები ოთხმოციანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, სამოქალაქო და ძმათამკვლელი ომი, ეს ცხინვალის მისადგომებია, ეს ღალიძგა, ეს დანგრეული პირველი სკოლა, მერაბ კოსტავას დაკრძალვა, პირველი პარლამენტის მოწვევიდან დღემდე ხალხის რჩეულთა ყოველდღიურობა, ათასგვარი კურიოზული სიტუაციები, რომლის დანახვაც და კადრზე აღბეჭდვაც მხოლოდ ნამდვილ შემოქმედთ თუ ძალუძთ. უამრავი გამოჩენილი ადამიანი, მეცნიერები, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწენი, პოლიტიკოსები, სპორტსმენები.

რამდენ დარდსა და სევდას იტევს ეს პატარა კედლები, რამდენ სიხარულს, რამდენ საფიქრალს. ხან ბოღმა გახჩრობს, ხან გეღიმება. ბევრი აღარ არის ამქვეყნად — აკაკი ბაქრაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, ეს ანა კალანდაძე და მურმან ლებანიძე არიან ერთად, ალბათ მუზებს გამოექცნენ, დედამიწაზე დაეშვნენ და ერთმანეთთან სასაუბროდ მოიცალეს, უძველეს ფოლიანტებში ჩაფიქრებული პავლე ინგოროყვა, ოტია თავისი განუყრელი ჩიბუხით, ნოდარ დუმბაძე და ირაკლი აბაშიძე ერთმანეთს შესცინიან, ალბათ ნოდარის ხუმრობაზე ეცინებათ, ნაადრევად ამქვეყნიდან წასული არაჩვეულებრივი მწერალი ნუგზარ შატაიძე რეზო ინანიშვილს ესაუბრება, ოდისეი დიმიტრიადი თავის ბიუსტთან ჩაფიქრებულა.


ჯემალ კასრაძე

კი ყველას ვიცნობთ და ვეთაყვანებით ჩემო, ჯემალ.

კაცი, რომელიც დროს აჩერებს

სამაჩაბლო — მისი საფიქრალი

მთელი საქართველოს სადარდებელია მავთულხლართებს მიღმა მოქცეული ძირძველი ქართული მიწა — სამაჩაბლო. ჯემალისთვის სამაჩაბლო სადარდებელი კი არა სიზმრად და ცრემლად ქცეული ბავშვობა და სიყმაწვილეა. კედელზე ჩიტის ფრენის სიმაღლიდან გადაღებული ცხინვალის ფოტოა გაკრული. იგი ზომით ყველაზე დიდია ამ ოთახში მოწყობილ „გალერეაში“. კოხტა სახლების სახურავები, ბაღები, ვიწრო ქუჩები და ალაპლაპებული ლიახვი ქალაქს, რომ კვეთს.

„აი, აქ დავიბადე, ომის დამთავრების წელს, ნინოობას — თითს ადებს სურათის კუთხეში ლიახვის პირას ერთ-ერთი სახლის სახურავს — **ქალაქის განაპირას იდგა ჩვენი სახლი. ერთი ციდა იყო ცხინვალი. მერე, აი, აქ გადავედით... მახსოვს ის დღე. ცხინვალის პირველი სკოლა დავამთავრე. ფეხბურთს ვთამაშობდი კარგად. ბევრი შეჯიბრი მოვიგე, თვით სპარტაკიადაც კი. მოკლედ, ფოტოგრაფობასთან ერთად ფეხბურთელიც ვარ. მერე ხეტყის კომბინატში დავიწყე მუშაობა, ისე ნუ მიყურებთ, მეორე „რაზრიადის“ დურგალი ვარ“.**

მისი შემდეგი ცხოვრების გზა ჩვენც ვიცით. 1963 წლიდან „ხელმარჯვე დურგალი“ ცხინვალის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის ქართულ თეატრში სცენის მუშად იწყებს მუშაობას. სულ მალე სცენის მემანქანეც ხდება („თანამდებობა მომიმატესო“ — იცინის ჯემალი). კედელზე იმდროინდელი აფიშაა გაკრული — 1965-66 წლების სეზონი, სადაც ჯემალ კასრაძეცაა მოხსენიებული. შემდეგ — უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება. 1976 წლიდან გაზეთები და ჟურნალები — „ლიტერატურული საქართველო“, „მართვე“, „სკოლა და ცხოვრება“, „ლელო“, „ბალავარი“, „კაბადონი“, „დილის გაზეთი“, „საქართველოს რესპუბლიკა“.

ჩვენი გაზეთის ერთგულია დაუზარელი ჯემალი. ფოტო გინდა? მოგიტანს, მოგიტანს და გაგაკვირვებს, უნდა უყურო, იკითხო, მთელი ნოველაა, ჰარმონია — მოკლედ ჯემალია, თავის სულს, რომ ტოვებს ყველა ფოტოში.

ნოველისტი ფოტოხელოვანი

„აქ განისვენებს კადერინ რუდა,
ეს დაგვიტოვა სუყველას დარდად,
კარგს აკეთებდა ძალიან ცუდად,
ცუდს აკეთებდა ძალიან კარგად“.

„სოციალიზმი სიღარიბის თანაბარი განაწილება,
კაპიტალიზმი — სიმდიდრის არათანაბარი განაწილებაა“.

ეს კედელზე გაკრულ ფოტოებს შორის მიუწერია ჯემალს. „ფოლოსოფოსია“ ჩვენი ჯემალი. შესანიშნავი ნოველებისა და ჩანახატების ავტორი, მდიდარი მოგონებების შემკრები. შემდეგ ეს ყველაფერი ერთ წიგნად გამოსცა, ამას „ჩიტებით სავსე ყუთი“ დაარქვა. რამდენჯერმე წავიკითხე და ვისიამოვნე.

ჯემალის თითოეულ ფოტოს თავისი ისტორია აქვს. მისმა მეგობრებმა ყველამ ვიცით ჯემალის გატაცება — „ველად გაჭრა“. შეკრიბავს მეგობრებს, გადაიკიდებს განუყრელ აპარატს და პურ-მარილით გაიჭრება ველად. საქართველოში კუთხე არ დარჩენილა, რომ არ მოენახულებინოს, ერთი გოჯი მიწა, ერთი მთის კენწეროზე ნანგრევებად ქცეული ციხე-სიმაგრე თავისი ხავსიანი ქვებით არ მეგულება, რომ არ მოფერებოდეს. ყველა იცნობს, ყველა თავისიანია, რა თქმა უნდა, უამრავი ფოტოც შემოუნახავს.

„ჯემალ კასრაძეს ბიოფიზიკური ზრდა დიდი ხნის დამთავრებული აქვს, შემოქმედებით ზრდას, როგორც ჩანს, არასოდეს დაამთავრებს. მისი ყოველი ფოტო ოსტატობის ახალი საფეხურია. მიყვარს მის სამყაროში ყოფნა, სადაც ყველაფერი ძალიან ნაცნობი და ახლობელია და მაინც უცნობია და საინტერესო“. — ეს ჯემალის მეგობარი, პროფესორი **ზურაბ ცუცქირიძეა,** ასე ეფერება თავისი მეგობრის შთამბეჭდავ შემოქმედებას.

— ჯემალ, რა არ გადაგიღია, რისი გადაღების სურვილი გაქვს? — ვეკითხები ფიქრებში წასულ ხელოვანს. ალბათ აბსტრაქტულის, ან რაღაც თანამედროვე „იზმებით“ დაბოლოებულ ახალ მიმდინარეობას მოძებნის.

ჩაფიქრდა...

— ეჰ, ჩემო მამუკა, ნეტა სიკვდილი გადამაღებინა... ჩემი წილი მიქელ-გაბრიელი. იცი, მეძავები და ჩვენ ფოტოგრაფები რითი ვგავართ ერთმანეთს? ისინიც, როგორც ჩვენ, წითელ შუქზე მუშაობენ.

— შენ ის მითხარი, ჩემო ჯემალ, რითი განვსხვავდებით, თორემ...

— რითი? მეძავს სულს უშიშვლებენ, ჩვენ სხვის სულს ვაშიშვლებთ. ამიტომ მინდა, გადავიღო მიქელ-გაბრიელი. ერთი მისი სული მინდა, დავინახო და გავაშიშვლო.

* * *

ჯემალის ამ პატარა ოთახში შეკედლებულმა და თავის „ოქროს ფონდში“ დაცულმა ნამუშევრებმა ორიოდე დღის წინათ „ქარვასლის“ საგამოფენო დარბაზში გადაინაცვლა. უამრავი სტუმარი ეწვია და დაიფასა მისი მართალი და ლამაზი შემოქმედება. იმ დღეს საერთაშორისო ფესტივალი „ქოლგაც“ გაიხსნა და ჯემალ კასრაძეს ალექსანდრე როინაშვილის სახელობის პრემია გადაეცა.

გულწრფელად გილოცავთ, ჯემალ!

დავემშვიდობეთ ერთმანეთს. ზუზუნებდა, შფოთავდა, ხმაურობდა საღამოს თბილისი. იმ საოცარი სიჩუმიდან და გარინდებულ სამყაროდან რეალურ თბილისში გადმოვდგით ნაბიჯი. ისევ ჯემალის ფილოსოფიაზე ვიყავი ჩაფიქრებული.

— ჯემალ!

— ჯემალი მოტრიალდა.

— როგორ წარმოგიდგენია მიქელ-გაბრიელი, ალბათ ფოტოაპარატით არა, რომ უკანასკნელი ფოტო გადაგიღოს?..

ჯემალი ჩაფიქრდა, შემდეგ ჩვეული იუმორით მოერია სევდას და...

— ბიჭო, სიბნელეში მუშაობას ვართ შეჩვეული ფოტოგრაფები, მაინც დავინახავ და მე დავასწრებ გადაღებას.

მჯერა ჯემალისი, მაინც დაასწრებს გადაღებას, მაშ რისი ჯემალია.

მამუკა ვაშაკიძე

ამ ჩემს ფეხებსო, — უთქვამს და წასულა!

ბურთაობას რა უნდა?!.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ქართველთა უმრავლესობა ევროკავშირთან დაახლოებისა და რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების მომხრეა

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა აპრილის გამოკვლევის შედეგები გამოაქვეყნა

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს პროდასავლურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს და მიიჩნევს, რომ საფრთხე საქართველოსთვის რუსეთიდან მოდის. ასეთია გამოკითხვის შედეგები, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა მოაწყო საქართველოში 26 მარტიდან 18 აპრილამდე. ინსტიტუტის თანამშრომლებმა 3942 ადამიანი გამოკითხეს.

ამავე დროს, ამ ინსტიტუტის წინა ანალოგიურ გამოკვლევასთან შედარებით, მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც მხარს უჭერდნენ საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, შემცირდა. მაგალითად, აპრილში გამოკითხულთა 77 პროცენტი (ნოემბერში — 85 პროცენტი) გამოვიდა საქართველოს ევროკავშირში შესვლის მხარდაჭერით, 72 პროცენტმა კი (ნოემბერში — 81 პროცენტმა) განაცხადა, რომ სურს, იხილოს საქართველო ნატოს წევრად. ამავე დროს, გაიზარდა იმ ადამიანების რიცხვი, ვინც მხარს უჭერს საქართველოს შეერთებას ევრაზიულ კავშირთან, თუმცა, მათი რაოდენობა ძველებურად მცირეა. კერძოდ, აპრილის გამოკითხვის მონაცემებით, მათმა რიცხვმა 16 პროცენტი შეადგინა, მაშინ, როდესაც ნოემბერში ისინი 11 პროცენტს შეადგენდნენ.

ამავე დროს, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის გამოკითხვის მონაწილეთა 58 პროცენტი მიიჩნევს, რომ საქართველო მეტ სარგებელს მიიღებს დასავლურ სტრუქტურებთან ინტეგრაციისგან. გამოკითხულთა 20 პროცენტი მიიჩნევს, რომ საქართველოსთვის უფრო ხელსაყრელია რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება პროდასავლურ კურსზე უარის ანგარიშზე.

ურთიერთობანი რუსეთთან

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის გამოკვლევაში აღინიშნება იმ რესპონდენტთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ რუსეთი საქართველოსთვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს. მაგალითად, აპრილში მათი რიცხვი შეადგენდა 50 პროცენტს (ნოემბერში — 36 პროცენტი). 32 პროცენტმა (ნოემბერში 35 პროცენტი) განაცხადა, რომ, მართალია, რუსეთი არის საქართველოსთვის საფრთხე, ამ საფრთხის სერიოზულობა გადაჭარბებულია. საქართველოს მცხოვრებთა მხოლოდ 13 პროცენტი (ნოემბერში — 23 პროცენტი) მიიჩნევს, რომ რუსეთი ქვეყნისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

ძველებურად მაღალია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა უკმაყოფილების რაოდენობა. გამოკითხვის შედეგების თანახმად, 74 პროცენტს (ნოემბერში — 72 პროცენტი) არ მოსწონს რუსეთთან ამჟამინდელი ურთიერთობა. რესპონდენტთა 17 პროცენტი (ნოემბერში — 22 პროცენტი) კმაყოფილია არსებული ურთიერთობებით. აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტის წინა გამოკითხვების შედეგად, სექტემბერში რუსეთთან ურთიერთობის უკმაყოფილოთა ოდენობამ 70 პროცენტი შეადგინა, ივნისში კი — 63 პროცენტი.

ამასთან ერთად, რესპონდენტთა უდიდესი უმრავლესობა (72 პროცენტი) მისაღებად მიიჩნევს მოლაპარაკების დაწყებას თბილისსა და მოსკოვს შორის რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრებისთვის შესაძლებლობათა განხილვასთან დაკავშირებით.

ამავე დროს, 12 პროცენტი ამ შეხვედრის ორგანიზაციის მოლაპარაკებას მიიჩნევს მიზანშეუწონლად. შეგახსენებთ, რომ 11 თებერვალს ვლადიმერ პუტინმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მზად არის, შეხვდეს საქართველოს პრეზიდენტს, თუ ეს უკანასკნელი გამოთქვამს ამგვარსავე სურვილს. პასუხად გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ, თუ რუსეთის პრეზიდენტს განზრახული აქვს, განიხილოს მასთან „პრობლემური თემები“, რომლებიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში არსებობს, იგი მზადაა, „გამართოს კონსულტაციები“.

კრიზისი უკრაინაში

რესპონდენტთა 66 პროცენტი 11 პროცენტის წინააღმდეგ მიუღებლად მიიჩნევს ყირიმის შეერთებას რუსეთთან. ამავე დროს, 62 პროცენტი რუსეთს მიიჩნევს პასუხისმგებლად უკრაინაში შექმნილ კრიზისთან დაკავშირებით. 15 პროცენტი პასუხისმგებლობას უკრაინას აკისრებს. მართალია, 67 პროცენტმა გამოთქვა ოფიციალური თბილისის პოზიციის მხარდაჭერა უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით, 46 პროცენტი 30 პროცენტის წინააღმდეგ მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობას შეუძლია მეტი რამ გააკეთოს უკრაინის მხარდაჭერისთვის. და, კერძოდ, აღმოუჩინოს ჰუმანიტარული დახმარება (69 პროცენტი). შემოიღოს სანქციები რუსეთის წინააღმდეგ (14 პროცენტი), ბოიკოტი გამოუცხადოს რუსეთს კულტურის სფეროში (9 პროცენტი).

დემოკრატია და მტკივნეული წერტილები

აპრილის გამოკითხვის შედეგებით, 8 პროცენტით შემცირდა საქართველოს მცხოვრებთა რაოდენობა, რომლებიც საქართველოს დემოკრატიულ ქვეყნად მიიჩნევენ. აპრილში ამ აზრს მხარს უჭერდა გამოკითხულთა 46 პროცენტი, იმ დროს, როდესაც ნოემბერში ამ აზრს მხარს 54 პროცენტი უჭერდა. რესპონდენტთა 41 პროცენტს აქვს საპირისპირო აზრი (ნოემბერში 35 პროცენტი იყო).

17 პროცენტით შემცირდა იმ რესპონდენტთა ოდენობა, რომლებიც მხარს უჭერდა საქართველოს ამჟამინდელი განვითარების ხასიათს: გამოკითხულთა 36 პროცენტმა (ნოემბერში — 53 პროცენტი) განაცხადა, რომ საქართველო მთლიანად სწორი მიმართულებით ვითარდება. საპირისპირო აზრი რესპონდენტთა 19 პროცენტს აქვს (ნოემბერში — 9 პროცენტი იყო).

ამავე დროს, რესპონდენტთა 38 პროცენტი (ნოემბერში — 28 პროცენტი იყო) მიიჩნევს, რომ ცვლილებები საქართველოს განვითარების ხასიათში არ მომხდარა.

შემცირდა იმ ადამიანთა რიცხვიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობა ახორციელებს მათთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს: აპრილში მათი ოდენობა 55 პროცენტს შეადგენდა (ნოემბერში — 73 პროცენტი იყო).

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 62 პროცენტმა განაცხადა, რომ 2013 წლის ნოემბერში გადამდგარი საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი რეალურად აგრძელებს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებსაც შემდეგ ახმოვანებს ამჟამინდელი პრემიერის ირაკლი ღარიბაშვილის კაბინეტი. რესპონდენტთა 49 პროცენტი ამ ფაქტს ნეგატიურად აფასებს, 41 პროცენტი კი — პოზიტიურად. გამოკითხულთა 18 პროცენტს არ მიაჩნია, რომ ივანიშვილი აგრძელებს ზეგავლენას ამჟამინდელი მთავრობის გადაწყვეტილებებზე.

მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც საქართველოს მცხოვრებთა აპრილში გამოკითხულებს აღელვებთ, ძველებურად არის უმუშევრობა (რესპონდენტთა 61 პროცენტი), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა (37 პროცენტი), სიღარიბე (30 პროცენტი), ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობა (25 პროცენტი).

28 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი გამოაქვეყნებს თავისი მოხსენების გაგრძელებას — პოლიტიკური რეიტინგის შესახებ.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

პენტაგონმა ავღანეთში რუსული შვეულმფრენების მი-17-ის ალტერნატივა ჯერჯერობით ვერ მონახა

შვეულმფრენები, „მარტივები, როგორც საფერმერო ტრაქტორი“, აუცილებლად სჭირდებათ ავღანელ ჯარებს, ამიტომ რუსეთის კომპანია „როს-ობორონექსპორტის“ წინააღმდეგ სანქციების შემოღება, რასაც დაჟინებით მოითხოვენ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრები, „გარკვეული პერიოდის განმავლობაში ავღანეთის არმიას დატოვებდა საავიაციო კომპონენტის გარეშე“, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსების კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალმა მარტინ დემპსიმ.

უკრაინელმა ძალოვნებმა განაახლეს შეტევა სლავიანსკში, კონტროლზე აიყვანეს მარიუპოლის ცენტრი

მაისის ღამით უკრაინის ეროვნულმა გვარდიამ კვლავ შეუტია დონბასელთა ქალაქს, რომელიც სეპარატისტების მიერაა დაკავებული. თვითმხილველები იტყობინებოდნენ ორი ძლიერი აფეთქების შესახებ, რომელთა ხმაც სლავიანსკის გარეუბანში გაისმა. შეტევის დაწყების შესახებ მცხოვრებლებს საეკლესიო ნაბათმა აუწყა.

თუ მოსკოვი აღიარებს დონეცკსა და ლუგანსკში მომავალი რეფერენდუმების შედეგებს, ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთის წინააღმდეგ შემოიღებს სექტორულ სანქციებს

ამის შესახებ განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ევროპისა და ევრაზიის საქმეებში ვიქტორია ნულანდმა, როდესაც გამოდიოდა სიტყვით ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატის უცხოეთის საქმეთა კომიტეტში მოსმენაზე, რომელიც უკრაინაში შექმნილ სიტუაციას მიეძღვნა.

ნატო აღმოსავლეთ ევროპაში თავისი ჯაჯგუფების მუდმივი განთავსების საკითხს განიხილავს

„ვფიქრობ, ეს არის ის, თუ რა უნდა განვიხილოთ და მივაწოდოთ განსახილველად ჩვენი ქვეყნების ხელმძღვანელებს“, — აღნიშნა გენერალმა ბრიდლავმა და დაუმატა, რომ ასეთი გადაწყვეტილების შესაძლებლობა დაკავშირებულია უკრაინაში სიტუაციის გამწვავებასთან. ალიანსში მეორე ჩინმა აღიარა, რომ ამჟამად „ნატოს შიგნით ყველა დისკუსიის დროის ნახევარი უკრაინას უკავია“.

დიდი მეფე ბაგრატ III კურაპალატი – 1000

2014 წლის 7 მაისს, ოთხშაბათს 1000 წელი შესრულდა „დიდი და ყოვლითურთ ძლევამოსილი მეფე ბაგრატ“ მესამის გარდაცვალებიდან.

ბაგრატ III „მეფობდა ოცდათექუსმეტ წელ და გარდაიცვალა შემკობილი მჴცითა შუენიერითა“ 52 წლისა ფანასკერტში, საიდანაც წაასვენეს აფხაზეთში და მის მიერვე აგებულ ბედიის ტაძარში დაკრძალეს.

ბაგრატ ბაგრატიონის ძირითადი მიზანი საქართველოს გაერთიანება იყო და როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს, თავისი „მტკიცე ხასიათით, ბრძნული და წინდახედული მმართველობით, ვაჟკაცური გულადობითა და შორსმჭვრეტელური პოლიტიკით“ მიზანს მიაღწია.

ამ ბოლო დროს, მართალია, აღდგა ბაგრატ III-ის მიერ აგებული, ახლა „ბაგრატის ტაძრად“ წოდებული სიონი (ამ ტაძრის მშენებლობის დამთავრების 1000 წლის იუბილეს აკად. მ. ლორთქიფანიძემ 2002 წელს სპეციალური ნარკვევი – „მეფე ბაგრატ მესამე“ მიუძღვნა), მაგრამ საქართველოს გამაერთიანებელი მეფის ღვაწლი ჯერ კიდევ სათანადოდ არაა დაფასებული. „მატიანე ქართლისას“ ავტორი ბაგრატიონთა სამეფო სახლის ამ დიდ წარმომადგენელს ასე ახასიათებს: **„ესე ბაგრატ, აფხაზთა და ქართველთა მეფე წარემატა ყოველთა ჴელმწიფეთა ყოვლითა განგებითა... ამისდა მოაჯედ შეიქმნეს ყოველნი ჴელმწიფენი... დაუმორჩილნა ღმერთმან ყოველნი მტერნი და წინამდგომნი მისნი; მომადლა დღეთა მისთა მშჳდობა და დიდი დაწყნარება ქუეყანისა. და უკეთუ ვინმე ინებოს თჳთოეულად წარმოთქმად ყოველთა განგებულებათა მისთა, მოუძლურდეს ძალი მისი, რომელთაგან მცირედი წარმოვთქუ უამთა სიგრძისაგან არა – დავიწყებისათჳს“.** მემატიანე შემდეგ იქვე დასძენს: **ისიც უნდა ვთქვა, „შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლისა არავინ გამოჩენილ არს სხუა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა და ყოვლითა გონებითა; ეკლესიათა მაშენებელი იყო, გლახაკთა მოწყალე და სამართლისა მოქმედი ყოველთა კაცთათჳს“.**

ბაგრატ III-ის ღვაწლის „მატიანე ქართლისას“ ავტორისეული შეფასება ყველა დროის ქართველისათვის მისაბაძი უნდა იყოს. საქართველოს მეფეთაგან ხომ მხოლოდ რამდენიმეს ხვდა წილად თავიანთ თანამედროვეთაგან „დიდ მეფედ“ წოდებულიყო, მათ შორისაა ბაგრატ მესამეც. ძველი მემატიანეს მიერ ასევე „დიდ მეფედ“ წოდებულ ვახტანგ გორგასალთან მისი შედარება, ბაგრატის თანამედროვეთა მიერ საქართველოს წინაშე ბაგრატ მეფის დიდი ღვაწლის აღიარებაა.

ბაგრატ III ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პიროვნება რომაა საქართველოს ისტორიაში და მისმა მოღვაწეობამ მნიშვნელოვანწილად რომ განსაზღვრა იმ ეტაპზე „ქართული ქვეყნების“ უდიდესი ნაწილის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება, ეს საკამათო არაა, მაგრამ თუ ბაგრატ ბაგრატიონის პიროვნულ ღირსებებს, წარმომავლობასა და ნათესავთა ვინაობას გავითვალისწინებთ, იგი თითქოს განგებამ მოუვლინა სამეფოებად დანაწევრებულ და შინაპოლიტიკურ ბრძოლებით დასუსტებულ საქართველოს. 975 წელს ქართლის ტახტზე დასმული მცირეწლოვანი ბაგრატი იმდროინდელ საქართველოში არსებული სამი სამეფო სახლის მემკვიდრე იყო. მამის ხაზით, მას „ქართველთა მეფობა“ ეკუთვნოდა, დედის ხაზით – „აფხაზთა მეფობა“, ხოლო როგორც ტაოს უშვილო მეფის, დავით კურაპალატის შვილობილს – „ტაოს მეფობა“. ის თავის პიროვნებაში განასახიერებდა საქართველოს ერთიანობას.

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში ბაგრატ III-ს მხარში ედგნენ: ქართლის ერისთავი იოანე მარუშისძე, იმიერ ტაოს მეფე დავით III კურაპალატი, ქართლის კათალიკოსი მელქისედეკ I. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს, საქართველოს გაერთიანების საქმე მტკიცე ხასიათისა და შეუდარებელი ნების პატრონის ხელში იყო – **ბაგრატ მეფე: „დაუღალავად მუშაობდა სამეფოს კეთილდღეობისათვის და არას დროს გარკვეულ გზას არ გადაუხვევდა, არც დაბრკოლების წინ შედრკებოდა და უკან დაიხევდა“. მისმა „ბრძნულმა და წინდახედულმა მმართველობამ ვაჟკაცურმა გულადობამ და შორსგამჭვრეტელმა პოლიტიკამ საქართველო გააერთიანა და მის ძლიერებას მკვიდრი საფუძველი დაუდო“ – მემატიანეს სიტყვით რომ ვთქვათ: „ვითარცა ჴელოვანმან მენავეთ-მოძღუარმან განაგო ყოველი საქმე“ საქართველოსი.**

ბაგრატ მეფე მტკიცე ხასიათს ავლენდა, როცა საქმე ქვეყნის ერთიანობას ეხებოდა, ამ მხრივ მან დედა-დედოფალი გურანდუხტიც არ დაინდო, მმართველობას ჩამოაშორა ბიძა – თეოდოს III, სცადა თავისი მამობილის – დავით III-ის სამეფოს დაპატრონება. არ დაინდო თავისი მამიდაშვილები, კლარჯეთის ბაგრატიონთა შთამომავლები სუმბატი და გურგენი. 989 წელს კლდეკარის ერისთავის რატი ბაღვაშის სამფლობელო შეიერთა. 1008 წელს მამის – მეფეთა მეფე გურგენის გარდაცვალების შემდეგ, მემკვიდრეობით მიიღო მისი სამეფო. 1010 წელს კახეთი შეიერთა. განძის ამირას ფადლონის დამარცხების შემდეგ უზრუნველყო საქართველოს აღმოსავლეთით მდებარე თემების უსაფრთხოება.

ბაგრატ მეფეს „ერთგულნი და მისანდობნი“, როგორც ჩანს, საეკლესიო წრეებშიც ბევრი არ ჰყავდა. თუ „მელქისედეკის დაწერილის“ იმ ცნობას გავითვალისწინებთ, რომელშიც ამ საბუთზე ხელისმომწერი ერთი პირი თავს „გლახაკს უღირსს“, „რეცა სახელით კათალიკოზს“ უწოდებს, ბაგრატ III-ს ცვლილება ქართლის ეკლესიის მმართველობაშიც უნდა განეხორციელებინა. როგორც გაირკვა, დაახლ. 982 წელს მან ქართლის კათალიკოსი სვიმონ III გადააყენა და საკათალიკოსო ტახტზე თავისი „გაზრდილი“ მელქისედეკ I დაადგინა. ერთიან ქვეყანას ერთიანი ეკლესია სჭირდებოდა, ამიტომ სვიმონ III-მ მხოლოდ აფხაზეთის კათალიკოსის სახელი შეინარჩუნა და იგი ძირითადად ხახულის მონასტერში იმყოფებოდა, სადაც მას 1019 წელს ტაძრისიდან ჩასული ახალგაზრდა გიორგი (შემდეგში მთაწმიდელი) გაეცნო.

ბაგრატ III-ის ზეობაში ე.წ. „ბაგრატის ტაძრის“ გარდა აიგო: სვეტიცხოვლის, ხცისის, ნიკორწმინდის, ბედიის ტაძრები და არაერთი სხვა.

XI ს-ის ავტორი სუმბატ დავითის ძე ბაგრატ მეფეს არა მარტო საქართველოს გამაერთიანებლად თვლის – მისი სიტყვით, **ბაგრატ მეფემ, დიდმა კურაპალატმა: „დაიპყრა ყოველი კავკასია თჳთმპყრობელობითა ჯიქეთითგან ვიდრე გურგენადმდე. ხოლო ადარბადაგანი და შირვანი მოხარკე ყო, სომხითისა ჴელმწიფებითა, ნებიერად განაგებდა. მეფე სპარსთა თჳს მეგობრად და ერთგულად ყო სიბრძნითა და ძლიერებითა თჳსითა უფროს სახლეულთა თჳსთასა, და ბერძენთა მეფესაცა შიში აქუანდა, ამისი ყოვლადვე“.**

ბაგრატ მეფე მტკიცე ხასიათს ავლენდა, როცა საქმე ქვეყნის ერთიანობას ეხებოდა, ამ მხრივ მან დედა-დედოფალი გურანდუხტიც არ დაინდო, მმართველობას ჩამოაშორა ბიძა – თეოდოს III, სცადა თავისი მამობილის – დავით III-ის სამეფოს დაპატრონება. არ დაინდო თავისი მამიდაშვილები, კლარჯეთის ბაგრატიონთა შთამომავლები სუმბატი და გურგენი.

ქვემოთ მინდა მოკლედ ბაგრატ III-ის ოჯახზეც მოგითხროთ.

როგორც უკვე აღვნიშნე, ბაგრატ III-მ 36 წელი იმეფა და 1014 წლის 7 მაისს 52 წლისა გარდაიცვალა. ბაგრატ მეფის გარდაცვალებისას მისი ძე – ტახტის მემკვიდრე გიორგი „მატიანე ქართლისას“ ავტორის ცნობით 12, ხოლო სუმბატ დავითის ძის თანახმად 16 წლისა იყო. თუ ამ უკანასკნელ ცნობას უფრო რეალურად მივიჩნევთ, გიორგი I 998 წელს დაბადებულა და ისმის კითხვა, 52 წლის მეფეს, რომლის ზეობა 36 წელს გრძელდებოდა, გარდაცვალებისას რატომ ჰყავდა მცირეწლოვანი ძე? ბაგრატ მეფე სრულწლოვანი 18 წლისა 980 წელს გახდა, და განა 18/20 წლის განმავლობაში მეუღლე არ ჰყავდა?

გიორგი I-ის დაბადების თარიღის შესახებ არსებული ცნობები ივანე ჯავახიშვილმა გააანალიზა, მაგრამ ბაგრატ III-ს გიორგი I-ის დედის გარდა, სხვა მეუღლე უნდა ჰყოლოდა თუ არა, ამით არ დაინტერესებულა. დასაინტერესებელი კი იყო, რადგან ძველ ტრადიციაზე დაყრდნობით, კათალიკოსი ანტონ I (გარდ. 1788წ.), იოანე ბატონიშვილი, პლატონ იოსელიანი ხახულის ლავრაში მოღვაწე „ბასილ ბაგრატის ძეს“ ბაგრატ III-ის შვილად მიიჩნევდნენ. ამ ტრადიციის სისწორეში ეჭვი არ ეპარებოდათ ჩვენი დროის ისეთ მკვლევრებს, როგორებიც იყვნენ: აკად. კ. კეკელიძე, პროფესორები: ლ. მენაბდე და ი. ლოლაშვილი.

ხახულის ლავრაში მოღვაწე ბასილ ბაგრატის ძე და მისი და – ცნობილი სამხედრო მოღვაწის ფერის ჯოჯიკის ძის მეუღლე ბაგრატ III-ის შვილები რომ იყვნენ, ამ თვალსაზრისს ყველა არ იზიარებდა. აკად. ელენე მეტრეველის თქმით, ბაგრატ III-ს ასეთი სახელოვანი შვილები რომ ჰყოლოდა, ძველ ავტორებს შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ. თუმცა, ქალბატონი ელენე იმაზეც მიუთითებდა, ბასილის მამის სახელით მოხსენიება, მისი დიდგვაროვნული წარმომავლობის მაჩვენებელი იყოო. ე. მეტრეველის თანახმად, ერთადერთი ცნობა, რომელიც, თითქოს, გიორგის გარდა, ბაგრატ მეფის სხვა ვაჟიშვილებზეც მიუთითებს, შემოუნახავს XVIII ს-ის სომეხ ისტორიკოსს მ. ჩამჩიანს, რომლის მიხედვით შეუვსია მ. ბროსეს მის მიერ შედგენილი ბაგრატიონთა გენეალოგია. ამ გენეალოგიიდან ვგებულობთ, რომ ბაგრატს ჰყოლია ორი მეუღლე და პირველი მეუღლისაგან – ძე გურგენი.

ბასილი ბაგრატის ძე რომ ბაგრატ III-ის ძე იყო, ამის შესახებ, როგორც ვნახეთ, მხოლოდ ფილოლოგები უთითებდნენ, ისტორიკოსები თავს იკავებდნენ. ჩემს მონოგრაფიაში („ათასწლოვანი სვეტიცხოველი“ ნარკვევები, თბ. 2011წ.), როცა დეტალურად გავაანალიზე ხახულის ლავრაში მოღვაწე ბასილის შესახებ არსებული მასალები, გული მწყდებოდა, ჩვენთვის საინტერესო საკითხის დასაბუთება რომ ვერ შევძელი. მეც ვფიქრობდი, 250-წლიან ქართულ ისტორიოგრაფიას სათანადო ცნობის არსებობა შეუმჩნეველი არ დარჩებოდა-მეთქი.

ბაგრატ მეფე მტკიცე ხასიათს ავლენდა, როცა საქმე ქვეყნის ერთიანობას ეხებოდა, ამ მხრივ მან დედა-დედოფალი გურანდუხტიც არ დაინდო, მმართველობას ჩამოაშორა ბიძა – თეოდოს III, სცადა თავისი მამობილის – დავით III-ის სამეფოს დაპატრონება. არ დაინდო თავისი მამიდაშვილები, კლარჯეთის ბაგრატიონთა შთამომავლები სუმბატი და გურგენი.

ერთ დღეს შემთხვევით ხელში ავიღე კრებული, რომელშიც სხვა მასალებთან ერთად ბრეთის (სოფელია ქარელის რაიონში) საწინამძღვრო ჯვრის წარწერა იყო გაანალიზებული – ჩემთვის საინტერესო ცნობას სწორედ ეს წარწერა შეიცავს. მასში ნათქვამია: **„ქ. დაამყარე და ადიდე ბაგრატ, აფხაზთა მეფე ძეი მეფეთა მეფისა გურგენისი, ქრისტე შეიწყალე მართა დედოფალი“** (როგორც შემდეგში გავარკვიე, ამ ცნობას თ. ჟორდანიამ ჯერ კიდევ 1892 წელს მიაქცია ყურადღება, ხოლო წარწერის ტექსტი აკად. გ. ჩუბინაშვილის 1959 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში ჰქონდა გაანალიზებული).

წარწერაში „ბაგრატ აფხაზთა მეფის“ (ბაგრატ III-ის) მამად დასახელებული „მეფეთა მეფე გურგენი“ რომ ბაგრატ III-ის მამაა, ეს საეჭვო არაა. იგი 994 წლიდან იწოდა მეფეთა მეფედ. მეორე მხრივ, წარწერაში ბაგრატ III და გურგენ მეფეთა მეფე რადგან ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულებით არ იხსენიებიან (ბიზანტიის იმპერატორმა ბასილ II-მ გურგენ მეფეთა მეფეს მაგისტროსის, ხოლო ბაგრატ III-ს კურაპალატის ტიტული 1001 წელს უბოძა), წარწერის შესრულების დროდ 994-1001 წლებს შორის მონაკვეთია მიჩნეული.

წარწერის შესრულებისას დედოფალი მართა გარდაცვლილი ყოფილა. ეს მართა დედოფალი უნდა მივიჩნიოთ ბაგრატ III-ის პირველ მეუღლედ. ბრეთის საწინამძღვრო ჯვარი გაბრიელ საფარალის მიერაა დამზადებული და მესხ მოღვაწეს ბაგრატ III-ის ოჯახური ამბები კარგად ეცოდინებოდა.

ბრეთის საწინამძღვრო ჯვარზე არსებული წარწერის სახით ჩვენ ხელთაა უნიკალური ცნობა, რომელიც ახალი მასალით ავსებს ჩვენს ცოდნას საქართველოს გამაერთიანებელი მეფის – ბაგრატ III-ის ოჯახის შესახებ. ახლა ვიცით ბაგრატ III-ის პირველი მეუღლე ყოფილა მართა დედოფალი. ბაგრატ მეფეს მისგან შეეძინა ერთი ასული – დიდი სახელმწიფო მოღვაწის ფერის ჯოჯიკის ძის მეუღლე და ერთი ძე გურგენი, რომლის მონაზვნობის სახელი იყო ბასილი. ბაგრატ მეფემ თავის პირმშოს, როგორც ჩანს, ტრადიციისამებრ მამის სახელი დაარქვა, მაგრამ რატომ „განუკვეთა ღმერთს იგი სამონასტრო სამსახურისათვის“ – მგონი ნათელია. უფროსი ძე ბაგრატ მეფეს ტახტის მემკვიდრედ უნდა გაეზარდა, მაგრამ ხახულის ლავრაში მისი განწესებით, ბაგრატ მეფე ღმერთს, როგორც ჩანს, გაერთიანებისათვის ბრძოლაში მფარველობას სთხოვდა, იმ ხანად უფროსი შვილის ღვთისადმი მიძღვნა, ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ჩვენ ვიცით, გრიგოლ ხანძთელი „საშჲ ჲთგანვე დედისაჲთ (რომ) შეწირული იყო ღმრთისა დედისაგან თჳსისა“, ხოლო გიორგი მთაწმიდელის მშობლებმა, აღთქმისამებრ, „პირველი ნაყოფი თჳსი... ვითარცა იქმნა... შჳდისა წლისაჲ შეწირეს ღმერთსა“.

ხახულის ლავრაში მოღვაწე ბასილი ბაგრატის ძე დიდი მეფის ღირსეული შვილი იყო. 1019 წელს ხახულის ლავრაში ჩასული გიორგი (მთაწმიდელი) მას „დიდს“, „ღმერთშემოსილს“, „მოძღვარს და განმანათლებელს ქუეყანისა ჩუენისას“ უწოდებს. მისი სიტყვით, ბასილი ბაგრატის ძე „მსგავსებითა და ღირსებით წმიდათა მოციქულთა სწორი“ იყო. ნიშანდობლივია ისიც, რომ როგორც ფერისი, ისე მისი წინაპრები – წარმომავლობით თვითონაც ბაგრატიონები, ბაგრატიონთა სახლის დიდი ერთგულები იყვნენ. სავარაუდოდ, სწორედ ბაგრატ III-სთან და გიორგი I-თან ახლო ნათესაობის გამო დასაჯა ბასილი II-მ 1022 წელს აჯანყებულთაგან სიკვდილით მხოლოდ ფერის ჯოჯიკის ძე, მისი ოჯახი კი ტაოდან კონსტანტინოპოლში გაასახლა. გასახლებულთა შორის იყო იმ ხანად მცირეწლოვანი გიორგი (შემდეგში მთაწმიდელად წოდებული) და მისი ბიძა „გიორგი მწერალი“.

ვახტანგ გოილაძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

◎ ჭიდაობა

მსუბუქი ბრინჯაოს სტარტი

საძართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა ნაკრების წევრმა გიორგი ხაჩიძემ (42 კგ) სერბეთის ქალაქ სამოკოვში დაწყებულ ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ქართული გუნდის უმსუბუქესმა წევრმა სულ სამი შეხვედრა ჩაატარა, რომელთაგანაც ორში იმარჯვა.

ევროკონკურენციაში 42 კილოგრამ წონით კატეგორიაში სულ 11 ჭაბუკი ჩაერთო. ხაჩიძე წილისყრამ პირდაპირ მეოთხედფინალში განთესა, სადაც გერმანელ იოჰან ფოგელს უპრობლემოდ აჯობა – 10:0, მაგრამ ოქრო-ვერცხლის შანსი სომეხ არმენ მნოიანთან წაგებით (3:6) დაკარგა, რეპეშაჟის ფინალში კი ბულგარელ აჰმედ ნეჟმიდინს 7:5 სძლია.

გუშინვე მედლები 50, 58, 69 და 85 კილოგრამ წონით კატეგორიებშიც გათამაშდა, მაგრამ საქართველოს ნაკრების წევრებმა ჭიდაობა დილის ბლოკშივე დაასრულეს.

შედარებით უკეთ მამუკა ჩაჩუამ (58 კგ) იჭიდავა, რომელმაც ევროპირველობა ლატვიელი ივარს სამუსონოკისის ძლევით (10:0) გახსნა, მეოთხედფინალში კი რუსეთის ნაკრების წევრ დინ-ისლამ აჯიევთან ვეღარას გახდა (1:8) და მეტოქის ფინალში გასვლას დაეღოდა, თავად დამამშვიდებელ ეტაპზე რომ გადართულიყო, მაგრამ აჯიევმა ფინალამდე წაიფორხილა.

ალექსანდრე კილაძემ (50 კგ), ნიკა კენჭაძემ (69 კგ) და მოგელი მეზვრიშვილმა (85 კგ) პირველსავე წრეში წააგეს და ხალიჩაზე მეორედ გასვლის შანსი აღარ მიეცათ. კილაძისთვის დაუძლეველი ბარიერი ბელარუსი ალექსანდრ კურიშტა აღმოჩნდა – (2:4), კენჭაძისთვის – აზერბაიჯანელი რავილ ბაბაზადე (1:4), ხოლო მეზვრიშვილისთვის – სომეხი ჰოვანეს მხითარიანი (1:12).

მანუჩარ გიორგაძე

◎ სუპერლიგა

„პსპ“-მ კალათბურთის ფედერაციასთან ახალი მემორანდუმი გააფორმა

გუშინ „პსპ“-ს ოფისში აღნიშნულ კომპანიასა და საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას შორის ახალი მემორანდუმი გაფორმდა, რომლის ძალითაც „პსპ“ კალათბურთის ფედერაციის სპონსორი 2016 წლის ჩათვლით იქნება.

მემორანდუმს ხელი საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ და „პსპ“-ს დირექტორმა გოჩა გოგილაშვილმა მოაწერეს.

რაც შეეხება სუპერლიგას, ნახევარფინალური სერიის პირველი მატჩები ხვალ თბილისში გაიმართება: „არმია“ – „ქუთაისი“ (14 საათზე) და „დინამო“ – „ბათუმი“ (16 საათზე).

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ერთი გასროლით – ორი კურდღელი

კვლავ ტყუპები, ამჯერად – ბიჭები

2009 წელს როჯერ ფედერერსა და მის მეუღლე მირკას ტყუპი გოგონები მაილა როუზი და შარლინ რივა გაუჩნდნენ, გუშინ გვიან ღამით კი სადიდსლემო ტურნირების 17-გზის შვეიცარიელ ტრიუმფატორს კვლავ ტყუპი შვილი შეეძინა, ამჯერად ბიჭები. როჯერმა და მირკამ ახალშობილებს სახელად ლეო და ლენი შეურჩიეს.

„მე და მირკა უზომოდ ბედნიერები ვართ. ლეო და ლენი თავს კარგად გრძნობენ“, – როჯერმა ეს სიტყვები „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე დაწერა.

შეგახსენებთ, რომ მეუღლის მშობიარობის გამო ფედერერმა მადრიდის „მასტერზ 1000“-ზე მონაწილეობაზე უარი თქვა და მირკასთან სიახლოვე ამჯობინა.

კობა კოგაახიძე

◎ ფეხბურთი

როჯერსმა „ლივერპულთან“ ახალი კონტრაქტი შეათანხმა

„ლივერპულის“ მთავარმა მწვრთნელმა ბრენდან როჯერსმა კლუბთან ახალი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა. ამის შესახებ ბრიტანული პრესა იუწყება.

41 წლის ჩრდილოირლანდიელი სპეციალისტი, რომელმაც გარკვეული პაუზის შემდეგ „ლივერპულს“ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოაპოვებინა, ახალი ხელშეკრულების მიხედვით მერსისაიდელთა სათავეში 2018 წლამდე დარჩება. ოფიციალურად გარიგების შესახებ მხარეები ინგლისის პრემიერლიგაში სეზონის დასრულების შემდეგ განაცხადებენ.

როჯერსი „ლივერპულის“ თავკაცად 2012 წელს დაინიშნა და მაშინ კონტრაქტი 2016 წლამდე გააფორმა. მან კენი დალგლიში შეცვალა.

გიორგი ზოთაძე

◎ რაგბი

2015 წლის მსოფლიო თასის გახსნამდე 500 დღე დარჩა

2015 წლის სარაგბო მსოფლიო თასის საორგანიზაციო კომიტეტმა ბილეთების საყოველთაო გაყიდვების შესახებ განცხადება გააკეთა. ტურნირის 48-ვე მატჩის ბილეთები (ჯამში 500 ათასამდე) საჯარო აპლიკაციო ფანჯრის სახით 2014 წლის 12 სექტემბრიდან 29 სექტემბრის ჩათვლით – ტურნირის დაწყებამდე ერთი წლით ადრე გაიყიდება.

ამასთან, დღეიდან ყველა ინგლისურ კლუბთან და ინგლისის რაგბის კავშირთან ასოცირებულ ორგანიზაციებს შეეძლებათ დარეგისტრირონ თავიანთი წევრები, რომლებსაც 16 მაისიდან შეეძლებათ ბილეთების შეძენა.

ეს პროგრამა კლუბებს აძლევს იმის შესაძლებლობას, რათა მათ დააფასონ და მადლობა გადაუხადონ იმ ერთგულ ქომაგებს, ეწყოს თასის ტურნე გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიაში.

ტურნირისთვის მზადება გეგმის მიხედვით მიმდინარეობს – კვლავ გრძელდება მოხალისეთა 6000-იანი გუნდისთვის კანდიდატების შერჩევა. მოცემული დროისთვის საორგანიზაციო კომიტეტს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ქომაგების გამასპინძლების მსურველებისგან 20 000 განაცხადი აქვს მიღებული.

2014 წლის ივნის-დეკემბერში მსოფლიო თასის ყველა მასპინძელ ქალაქში გაიმართება საცდელი (სასელექციო) ღონისძიებები, ხოლო მოხალისეთა გუნდის შემადგენლობა საბოლოოდ 2015 წლის იანვარში დამტკიცდება.

„ინგლისი 2015-ის“ აღმასრულებელმა დირექტორმა დები ჯივენსმა განაცხადა: „ტურნირამდე

რომლებიც კვირიდან კვირამდე უანგაროდ გვერდში უდგანან მასპინძელ ქვეყანას 2015 წლის მსოფლიო თასის ორგანიზებაში.

დღესვე მსგავსი პროგრამა სტარტს იღებს უელსშიც, სადაც უელსური კლუბების წევრებს მიეცემათ კარდიფის სტადიონ „მილენიუმზე“ ჩასატარებელი 8 მატჩის ბილეთების შეძენის შესაძლებლობა.

გარდა ამისა, „ინგლისი 2015-მა“ რაგბის მსოფლიო თასის საერთაშორისო ტურნეს დეტალებიც გამოაქვეყნა, რომლის ფარგლებშიც „ვებ ელისის თასს“ 15 ქვეყანაში ჩაიტანენ. „ლენდ-როვერისა“ და DHL-ის პარტნიორობით 2014 წლის 20 მაისს თასი თავდაპირველად იაპონიას ესტუმრება, შემდეგ კი მისი ხილვის ბედნიერება ავსტრალიაში, ფიჯიზე, მადაგასკარში, კენიაში, სამხრეთ აფრიკაში, არგენტინაში, ურუგვაიში, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, ჩინეთში, აშშ-ში, იტალიაში, გერმანიაში, რუმინეთსა და საფრანგეთში ექნებათ.

ტურნირის დაწყებამდე 100 დღით ადრე (2015 წლის 10 ივნისი) კი „ვებ ელისის თასს“ ინგლისში დააბრუნებენ, რათა მან 500 დღით ადრე ყველაფერი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. ჩვენ ბედნიერები ვართ იმით, რომ დღეს გვეძლევა ბილეთების საყოველთაო გაყიდვების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების შესაძლებლობა, რომელიც ქომაგებს თარიღების დაგეგმვის საშუალებას მისცემს.

დიდი გამოხმაურება მოჰყვა სარაგბო საზოგადოებისთვის შემუშავებულ ბილეთების მიყიდვის პროგრამას. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ამით კლუბებს ერთგული ქომაგების დაფასების საშუალებას ვაძლევთ. დღეიდან მოხდება ამ ხალხის რეგისტრაცია და მათ 16 მაისიდან 30 ივნისის ჩათვლით შეეძლებათ ბილეთის შეძენა.

ჩვენ ასევე პატივი გვაქვს გამოვაცხადოთ რაგბის მსოფლიო თასის ტურნეს გეგმები. ეს გვაძლევს მსოფლიოს მასშტაბით სარაგბო დღესასწაულის მოწყობის უნიკალურ საშუალებას. „ლენდ როვერი“ და DHL-ი დიდი დროის განმავლობაში არიან რაგბის მხარდამჭერები და ჩვენ მოუთმენლად ველით ტურნეს დაწყებას, რომელიც ამ თვეში სტარტს იაპონიაში აიღებს“.

გეჭან დოლიძე

◎ ინტერნეტიდან

ელიზავეტას „სკუადრა აძურა“ უყვარს

იტალიელი მოდელი ელიზავეტა გრეგორაჩი, რომელიც უკვე 34 წლისა მოიყარა, მამაკაცებს უზადო ტანითა და ლამაზი ნაკვთებით ატყვევებს. პროფესიით მოცეკვავემ მომავალი პოდიუმს დაუკავშირა – მის გამო ჩეხი სუპერმოდელი ევა ჰერციგოვა ქალის თეთრეულის ბრენდს Wonderbra-ს დაემშვიდობა.

გრეგორაჩი „სკუადრა აძურას“ ქომაგიც გახლავთ და მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლას და საყვარელი გუნდის გულმხურვალე გულშემატკივრობას აპირებს. 2008 წელს ელიზავეტამ იტალიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მექალთანის გულის დაპყრობა მოახერხა – ცოლად გაყვა სუპერმოდელების „მოყვარულ“ ბიზნესმენს - 62 წლის ფლავიო ბრიატორეს. რესტორნების ქსელის მფლობელი და „ფორმულა-1“-ის ყოფილი ბოსი ფლავიო ქორწინებამდე სუპერმოდელებს – ჰეიდი კლუმსა და ნაომი კემპბელს ხვდებოდა. ჰეიდის მისგან ქალიშვილიც ჰყავს, თუმცა გერმანელი სუპერმოდელი ფლავიოს ქალიშვილთან ურთიერთობის უფლებას არ აძლევს.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ამას ჰქვია კონკურენცია?!

ბიზნესუკუღმართობა

აპრილის დასაწყისში „ბიზნეს-კურიერში“ გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოში ყველაზე დიდი მონოპოლისტები ხორბლის ბიზნესში არიან. მეზობელ ქვეყნებთან შედარებით ყველაზე ძვირი ფქვილიც ჩვენს ქვეყანაშია. რაღა თქმა უნდა, აქედან გამომდინარე, პურიც ვერ იქნება იაფი.

აქ, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: როგორ მიაღწიეს ქვეყანაში ხორბლის ბიზნესის (და არა მარტო ხორბლის) მონოპოლიებს, რამაც ისედაც გაჭირვებულ მოსახლეობას დიდი პრობლემები შეუქმნა? ამ უმსგავსობის შესახებ როცა ხმამაღლა ვლაპარაკობდი, მაშინ ცალკეული ჟურნალისტები რატომღაც დუმილს ამჯობინებდნენ. არადა, მონოპოლიზაციის მსახვრალი შედეგები ხელთა გვაქვს. ქვეყანაში თითქმის გაქრა ქართული ხორბლის გადამმუშავებელი საწარმოები და მომრავლდა უცხოელ მფლობელთა წისქვილები. დედაქალაქში ასევე მომრავლდა ბიზნესუკუღმართი „მანუგეშებლები“ და „მამუქთებლები“, რომელთაც სადაც სურთ, სავაჭრო ჯიხურებს იქ უდგამენ (ზოგჯერ მეწარმე სუბიექტის ცხვირწინაც) და ამას „ბიზნესკონკურენციას“ ეძახიან. თუმცა, ეს კონკურენცია კი არა, ფაქტობრივად, ბიზნესდაპირისპირება და ბიზნესკანიბალიზმია. ყველას ახსოვს, ადრე ასეთი ნადირობა პრესის ჯიხურებზეც მოაწყვეს, მაშინ ასე აწყობდათ.

სამწუხაროა, რომ ამას უყურებს ყველა, მაგრამ ზომებს არავინ იღებს, პირიქით, ქალაქის მერიის ხელშეწყობით ასეთი ჯიხურები სულ უფრო მრავლდებიან. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ნაძალადევისა და დიდუბის რაიონებში შეიმჩნევა. რატომ აპირისპირებენ ერთმანეთს ბიზნესებს, ნუთუ ამას ანტიმონოპოლიურმა სამსახურებმა ყურადღება არ მიაქციეს? ამასობაში ეს ფირმები სხვისი გაკოტრების ხარჯზე მოძლიერდნენ და უკვე მაღაზიებს ხსნიან. გაუგებარია, ამ ქვეყანაში თუ შეიძლება ერთი ფირმისთვის უკვე სადაც მოესურვება მაღაზია-ჯიხური იქ ჩადგას, რატომ არ შეიძლება იგივე სხვა მეწარმისთვის? განა ასეთი ქმედება დანაშაული არ არის? გადასასვლელ ხიდთან და დელისთან დანგრეული ჯიხურების საქმე

გადასასვლელ ხიდთან, ზუსტად ამ ადგილზე, იყო მე-4 პურის ძარხნის ლამაზად გაფორმებული ჯიხური, რომელიც გაუფრთხილებლად დაანგრიეს.

წერეთლის პროსპექტზე თუ შეიძლება ტრაპიზონის პური იყიდებოდეს, ადგილობრივ მეწარმეს აქ ჯიხურის ჩადგმა რატომ უნდა ეკრძალებოდეს?

აქ შეგიძლიათ პროდუქტები „მუქთად“ შეიძინოთ

დღესაც სასამართლოშია, მაგრამ განაჩენის გამომტანი არავინაა.

საინტერესოა, რა გზით ახერხებენ ეს ობიექტები („ნუგეში“ და „მუქთები“) ზოგჯერ დემპინგური ფასებით მომხმარებლის შეტყუებას, რადგანაც ამ ქვეყანაში, როგორც უკვე ვთქვით, ძვირია ფქვილი, ძვირია ენერგოშემცველები და თუნდაც შესაფუთი მასალა (ამ ბიზნესში მაღალი ფასები და სრული განუკითხაობაა). გაუგებარია, ბიზნესილუზიონისტები რა საშუალებით აღწევენ ასეთ ფასებში მუშაობას.

დროა ვაჭრობაში დამკვიდრდეს მუშაობის ცივილიზებული ფორმები. ნუთუ აღარ უნდა მოწესრიგდეს, უფრო სწორად, არ შეიზღუდოს დღის საათებში ქალაქის ვიწრო ქუჩებში სადისტრიბუციო მანქანების სიარული, როგორც ეს არის განვითარებულ ქვეყნებში? თუ ეს ყველაფერი არ გამოსწორდა, ვერც ადგილობრივი ბიზნესი განვითარდება და ვერც ხსენებული ბიზნესუკუღმართობა მოისპობა.

მალხაზ დოლიძე,
პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე.

◎ ალიანჩალიანი

იწყება მწერალთა სახლის რეაბილიტაცია

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, მწერალთა სახლის რეაბილიტაციის რამდენიმეეტაპიან პროექტზე მუშაობა დაიწყო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კულტურის სამინისტროდან აცნობეს, უწყება ძეგლთა დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად უზრუნველყოფს აღნიშნული სამუშაოების კოორდინაციას.

სამინისტროს ინფორმაციით, სოლოლაკში, გერმანელი არქიტექტორის კარლ ცაარის პროექტით ცნობილი ქართველი მეწარმისა და მეცენატის დავით სარაჯიშვილის საცხოვრებელი სახლი XX საუკუნის დასაწყისში აიგო. მოდერნიზმის სტილში გადაწყვეტილი შენობა ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლია.

— დავით სარაჯიშვილის სურვილი იყო, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ სახლი ქალაქის თვითმმართველობისათვის გადაეცათ, სადაც სამხატვრო გალერეას ან ხელოვნების მუზეუმს მოაწყობდნენ. 1916 წლიდან სასახლეში ცნობილი კომერსანტი აკაკი ხოშტარია ცხოვრობდა.

1921 წლის 28 თებერვლის დადგენილებით, ეს უნიკალური შენობა ქართველ მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებს გადაეცათ. მოგვიანებით ამ შენობაში „მწერალთა კავშირი“ განთავსდა. „მწერალთა კავშირი“ XX საუკუნის საქართველოს ისტორიის დრამატული მოვლენების ეპიცენტრი იყო და დღემდე უმნიშვნელოვანეს კულტურულ ცენტრს წარმოადგენს, — ნათქვამია სამინისტროს ინფორმაციაში.

პასპორტები ონლაინ სერვისით

სერვისების განვითარების სააგენტოს დისტანციური სამსახურის საშუალებით, 2014 წლის პირველ კვარტალში, საზღვარგარეთ მყოფმა საქართველოს 1879 მოქალაქემ სხვადასხვა სახის დოკუმენტი სახლიდან გაუსვლელად მიიღო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სერვისების განვითარების სააგენტოდან აცნობეს, აღნიშნულ პერიოდში, დისტანციური სამსახურს უცხოეთში მყოფი პირები ყველაზე ხშირად საქართველოს მოქალაქის პასპორტის მიღების მიზნით მიმართავდნენ. ონლაინ სერვისის მეშვეობით, პირველ კვარტალში გაცემული 669 პასპორტი, აქედან საზღვარგარეთ მყოფმა 45-მა ადამიანმა დოკუმენტი ფოსტით მიიღო. უცხოეთში მყოფმა საქართველოს ყველაზე მეტმა მოქალაქემ აღნიშნულ სამსახურს თებერვლის თვეში მიმართა.

ამავე სამსახურის მეშვეობით 2014 წლის პირველ კვარტალში, 77 ქორწინების დამბრკოლებელი გარემოებების არარსებობის შესახებ ცნობა გაიცა, რომელსაც საზღვარგარეთ დაქორწინების მსურველი საქართველოს მოქალაქეები იყენებენ. გარდა ამისა, 83-მა ადამიანმა დაბადების განმეორებითი მოწმობა, ხოლო 25-მა ქორწინების განმეორებითი მოწმობა მიიღო ქვეყნიდან და სახლიდან გაუსვლელად. 2014 წლის პირველ კვარტალში, 663 ადამიანი დადგა საკონსულო აღრიცხვაზე, ხოლო 107-მა ყალბი დოკუმენტების შესწორების მიზნით გამოცხადებული ამნისტიით ისარგებლა დოკუმენტების შესწორებული მონაცემებით მიიღო.

დისტანციური სერვისების სამსახური საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებს ონლაინ სერვისს სთავაზობს. ამ სერვისით შესაძლებელია სასურველი მომსახურების სახლიდან გაუსვლელად მიღება. მოქალაქეებს განცხადების შევსება სერვისების განვითარების სააგენტოს ვებგვერდის საშუალებით შეუძლიათ.

სერვისების განვითარების სააგენტოს დისტანციური მომსახურების სამსახური 24 საათის განმავლობაში მუშაობს და მოქალაქეს დაკავშირება მისთვის სასურველ დროს შეუძლია.

ოჯახებში ძალადობის შემთხვევები ჯერ არ აღმოფხვრილა

სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშის „გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების“ ნაწილი ომბუდსმენმა არასამთავრობო სექტორს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სამთავრობო უწყებებს წარუდგინა.

ომბუდსმენის აპარატის ინფორმაციით, 2013 წელი კვლავ დატვირთული იყო ოჯახში ძალადობის შემთხვევებით. „112“-ის გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრში რეგისტრირებული შემთხვევებიდან დაფიქსირდა ფიზიკური ძალადობის 139 შემთხვევა, ფსიქოლოგიური ძალადობის 188 შემთხვევა.

ამასთან, 2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის იანვრამდე საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებში საბაზო საფეხურის დასრულებამდე 7 367 გოგონამ შეწყვიტა განათლების მიღება. გოგონათა მიერ სკოლის მიტოვების ძირითადი მიზეზი ქორწინებაა.

2013 წლის მონაცემებით, გენდერული თანასწორობის მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი. საქართველოს პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობა 11%-ია, მინისტრთა კაბინეტში 21%, ხოლო ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში — 10%.

ომბუდსმენის აპარატის ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ქალთა წარმომადგენლობა საკანონმდებლო ორგანოში 5%-ით გაიზარდა, საქართველო კვლავ რჩება იმ ქვეყნებს შორის, სადაც გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა წარმომადგენლობის დაბალი მაჩვენებელია.

ინტერპრესი

გამოსათხოვარი

წავიდა ლევან ღოღობერიძე...

ძალიან დაიღალა, ალბათ, და ამიტომაც ვეღარ დაელოდა ვერაფერს ჩვენი უსაყვარლესი კაცი, კოლეგა და მეგობარი. აღარ დაუტოვა ცხოვრებამ სიცოცხლის ძალა. ეტყობა, მართლა ძალიან დაღალა...

რა ღვთის წყრომაა ლევანზე სამძიმრის წერა! თბილისში კაცს ვერ მოძებნი მისი ნიჭით, იუმორით, სიყვარულით, ხალისით, გულწრფელობით რომ არ გამთბარიყოს. არ გვეგულება ასეთი ადამიანი...

ისეთი კარგი და ნიჭიერი, ისეთი სწორი და მართალი იყო ლევანი ყოველთვის და ყველასთან, რომ ყველას მხოლოდ თავისი ეგონა. ყველა მის ძმობას იჩემებდა და ყველა თავის მოსაყოლს ჰყვებოდა მასზე. ყველა...

ისე წავიდა, რომ დღეს ჩვენთან არც ხალისია, არც იუმორი, არც სიყვარული, არც გულწრფელობა. მხოლოდ კაცური სევდა და კაეშანია. ჩუმი რაღაცნაირი! სიჩუმეა ლევან!.. უამრავი შენი მეგობრის და კოლეგის გვარი, ადვილად დალაგდება ამ ბოლო ბარათის ქვეშ. ჩუმად და ანბანის მიხედვით.

ყველას ჩუმად და ანბანის მიხედვით შეუნდე, ლევან, ვინც თავისდა უნებურად რამე დაგაკლო...

ზაზა აბაშიძე, ირაკლი ალასანია, მერაბ ანთაძე, ლალი ანთიძე, ლევან ასათიანი, დავით აფციაური, ზურაბ ბერიძე, როლანდ ბერიძე, ნინო გაგოშიძე, არჩილ გეგეშიძე, ზაზა გოგსაძე, ზურაბ გუმბერიძე, ზურაბ დვალიშვილი, დავით დონდუა, ვიქტორ დოლიძე, შოთა დოღონაძე, გია ვოლსკი, კოტე ზალდასტანიშვილი, დავით ზალკალიანი, ირინა იაშაღაშვილი, კახა იმნაძე, მალხაზ კაკაბაძე, ზაზა კანდელაკი, ვასილ კაჭარავა,გურამ კეკელია,დავით კერესელიძე, თემურ კოხრეიძე, გიგა მახარაძე, ირაკლი მენაღარიშვილი, ლევან ნიჟარაძე, ალექსი პეტრიაშვილი, კოტე ჟღენტი, მალხაზ რადიანი, ნიკოლოზ რთველიაშვილი, თემურ სარჯველაძე, კახა სიხარულიძე, დავით სუმბაძე, გრიგოლ ტაბატაძე, მიხეილ უკლება, მაია ფანჯიკიძე, ირმა ფირცხალაიშვილი, ნანა ძავთარაძე, კოტე ძავთარაძე, გიორგი ძაჯაია, ლილი ჩადუნელი, გელა ჩარკვიანი, ზურაბ ჩაფიძე, ვალერი ჩეჩელაშვილი, პეტრე ჩხეიძე, ზვიად ჭუმბურიძე, თედო ჯაფარიძე.

თბილისის პეკინის ქ. №16-ის მე-3 სადარბაზოს მცხოვრებნი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩინებული ქართველი ახალგაზრდა დიპლომატი, კეთილი მეზობელი და მეგობარი

ლევან ღოღობერიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის დედას ქალბატონ თამუნას და ძმას — პროფესორ სოსო ღოღობერიძეებს.

◎ მილოცვა

ლეგენდარულ ჯემალ ცერცვაძეს!



დაბადების 75 წლისთავს ვულოცავთ ლეგენდარულ ქართველ ხელბურთელს, ჩვენს ძვირფას მეგობარსა და საამაყო პიროვნებას ჯემალ ცერცვაძეს.

გვიხარია, ჩვენო ჯემალ, რომ ასაკის მიუხედავად, კვლავაც ძველებური შემართებით გვახარებ. ღმერთმა, ეს შემართება და სიცოცხლის ხალისი არ მოგიშალოს!

შენი –
ავთანდილ და ნანა ძიძიგურები.

სურათზე: ძველი მეგობრები – ჯემალ ცერცვაძე და ავთო ძიძიგური.

◎ ეს საგულისყუროა!..

განქორწინება: რუსეთი ლიდერია

რუსეთში, თურმე, ყოველი მეორე ქორწინება ინგრევა: 2012 წელს 1213616 ქორწინებაზე მოდიოდა 641981 განქორწინება (52,8 პროცენტი).

და, ცხადია, ასეთი მაჩვენებლით რუსეთს განქორწინების დონით პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში (ეს გაეროს მონაცემებია). მეორე ადგილზეა ბელარუსი, მესამეზე – უკრაინა.

განქორწინებანი ყველაზე იშვიათია ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში, მაკედონიასა და ჩერნოგორიაში, იტალიაში (0,90 განქორწინება 1000 მცხოვრებზე). რაც უფრო „მორწმუნეა“ ქვეყანა, მით უფრო იშვიათად იყრებიან ცოლ-ქმრები.

83 პროცენტი – განქორწინებათა პიკია, რუსეთში ასეთი პიკი 2010 წელს იყო, როდესაც 185969 ქორწინებაზე დაფიქსირდა 153 406 განქორწინება. ამ ქვეყანაში 2007 წელს განქორწინებულთა 51 პროცენტმა განქორწინების ერთ-ერთ მიზეზად დაასახელეს მეუღლის ალკოჰოლიზმი ან ნარკომანია, 41 პროცენტმა – საკუთარი ბინის უქონლობა.

ყველაზე გავრცელებული მიზეზები, რომლებიც რუსეთელ ცოლ-ქმრებს ხელს უშლიან განქორწინებაში, ასეთია: ძნელია ბავშვების „გაყოფა“ (35 პროცენტი), ქონების გაყოფის სირთულე (30 პროცენტი), ერთი მეუღლის მეორისგან მატერიალური დამოკიდებულება (22 პროცენტი), ცოლის ან ქმრის უარი განქორწინებაზე (18 პროცენტი).

1926 წელს სსრ კავშირში განქორწინება ხდებოდა საჯაროდ. გაყრისთვის აუცილებელი იყო: განცხადების შეტანა, 100 მანეთის გადახდა და გაზეთში განცხადების შეტანა განქორწინების საქმის აღძვრის შესახებ და სასამართლოში მეორე მეუღლის მოსვლა.

ქმრის იმპოტენციალობა არის გაყრის საფუძველი ამერიკის შეერთებული შტატების 24 შტატში:.

2008 წელს საუდის არაბეთის მცხოვრებმა 50 წლის ქალბატონმა განცხადება განქორწინებაზე შეიტანა მას შემდეგ, რაც მისი ქმარი შეეცადა, შეეხედა მისთვის სახეში ფარანჯის შიგნიდან იმ დროს, როდესაც მას ეძინა. მანამდე მის ქმარს არ უნახავს ცოლის სახე 30 წლის განმავლობაში.

სინგაპურსა და მალაიზიაში მუსლიმანებს შეუძლიათ განქორწინდნენ, რისთვისაც სამჯერ უნდა გაგზავნონ სმს-ცნობა შესაბამისი ტექსტით, შემდეგ კი უნდა დაადასტურონ ეს ფაქტი შარიათის სასამართლოში.

განქორწინების მსურველი ცოლ-ქმრის 7 პროცენტს უკან მიაქვს განცხადება გაყრის შესახებ მას შემდეგ, რაც სასამართლო აძლევს მათ რამდენიმე თვეს მოსაფიქრებლად.

ბრიტანელები ყველაზე ხშირად იყრებიან იანვარში. განქორწინების რიცხვის მიხედვით მეორე თვეა – დეკემბერი, მესამე – მარტი.

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ მცირე ენციკლოპედია

ორი ტონა... ბედნიერება

13 წლის ლიზა კენიაში... მარტორქას დაუმეგობრდა. მამამისმა, ცნობილმა უკრაინელმა ფოტოხელოვანმა ალექსი ტიშჩენკომ ქალიშვილი აფრიკაში სულ ერთი ციდა ჩაიყვანა და მას შემდეგ ოჯახი იქ ცხოვრობს.

ოთხი წლის წინათ ალექსიმ სავანაში თეთრი მარტორქის ნაშიერი იპოვა და სარეაბილიტაციო ცენტრს გადასცა. ლიზა და ახლა უკვე ორტონიანი ვილი ყოველ დღე ერთად იყვნენ და ახლაც არ შორდებიან ერთმანეთს, გოგონა კი მას „თავის შინაურ ცხოველს“ უწოდებს.



არადა, მარტორქები თავისი აგრესიულობით არიან გამორჩეულნი, თუმცა კი, ვილი, თავისი გაბარიტებისა და უზარმაზარი თავის მიუხედავად, ლეკვივით იქცევა – მას უყვარს, როცა მუცელს ფხანენ, ცოტ-ცოტა ადგილობრივ ხილის არაყსაც მიირთმევს და თავის პატრონსაც ზურგით სიამოვნებით ასეირნებს.

„პოლიგლოტი“ ციკანი

მსოფლიოში სახელი მომხიბლავმა ციკანმა ვილამ მას შემდეგ გაითქვა, რაც გაირკვა, რომ თავისი მოდგმის კიკინზე იგი კატეგორიულად უარზეა და „მე-ე-ე-ე-ეს“ არაფრის დიდებით არ იძახის.

სამაგიეროდ ვილა... ქათამივით კრიახობს, თანაც ყოველგვარი „აქცენტის“ გარეშე! ბუნების ამ სასწაულის სანახავად პატარა ქალაქის მთელი მოსახლეობა დადის, მის შესახებ რამდენიმე სატელევიზიო არხმა სახალისო სიუჟეტიც გადაიღო. ვილას პატრონი ჯური ჯორჯი ამას მის... კრუხთან მეგობრობით ხსნის: იქნებ ციკანსაც თავი ქათამი ჰგონია? თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს – ვილა, ალბათ, „პოლიგლოტია“ და, უბრალოდ, უცხო ენას სწავლობს?



მხატვარი და ქველმოქმედი ვული

ამერიკელმა შილა მუტონმა პარკში სეირნობისას კატას პირიდან... ციყვი გამოაცალა, შინ წაიყვანა და უმკურნალა. ერთხელაც ცნობისმოყვარე ციყვუნა ვული თავისი გადამრჩენელის ფერადი ფანქრებითა და ფლომასტერებით დაინტერესდა, ოღონდ, ცხადია, თავისებურად – ღრღნა დაუწყო, თუმცა იქვე ქაღალდის ფურცელიც ნახა და... ასე გახდა ციყვი აბსტრაქციონისტი მხატვარი. დიდებული ვან გოგენისგან განსხვავებით, თავის „შედევრებს“ ციყვი სიცოცხლეშივე ყიდის, უფრო სწორად კი მის მუტონს ისინი იბაის აუქციონზე გააქვს. ვულის შემოქმედება ბოლო დროს დიდი პოპულარობით სარგებლობს, შემოსული სახსრები კი მთლიანად ქველმოქმედებას ხმარდება.

სუნთქვა გიჭირთ? თეთრი ღვინო სვით!

თეთრი ღვინო, თურმე, ფილტვების მუშაობას აუმჯობესებს – ეს დასკვნა ბუფალოს (აშშ) მეცნიერებმა გამოიტანეს 1500 ნიუ-იორკელის გამოკვლევის შედეგად.

მკვლევარებმა გააანალიზეს არა მარტო მათ მიერ ალკოჰოლიანი სასმელების მოხმარება, არამედ ცხოვრების წესი, კვება და ფიზიკური აქტივობა. თეთრი ღვინის მოყვარულთა სისხლში ანტიოქსიდანტების უფრო მაღალი შემცველობა დადგინდა, ვიდრე ეს სხვა სპირტიანი სასმელების (ვთქვათ, ლუდის, არაყის, კოქტეილების და ა.შ.) ტრფიალთა სისხლში იყო. ანტიოქსიდანტები – ფლავონოიდები და ფენოლი – თავისუფალ რადიკალებთან რეაქციაში შედიან და ფილტვების მუშაობაზე მთლიანად უაღრესად დადებითად მოქმედებენ.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

სისხლის სამართლის პროფესორს ლექციაზე კითხვას უსვამენ:

– რა არის ბიგამია და რით ისჯება იგი?

– ბიგამია ორცოლიანობაა და ორი სიდედრით ისჯება.

* * *

ერთმანეთს შეხვდა ორი თანაკლასელი – ინჟინერი და ახალი ქართველი.

– მისმინე, – ეუბნება ინჟინერი, – როგორ შოულობ ამდენ ფულს, შენ ხომ მათემატიკაში მუდამ ორიანი გყავდა?

– რა შუაშია აქ მათემატიკა? საქონელს ვყიდულობ, ვთქვათ, ათას დოლარად, სამი ათასად კი ვყიდი. აი, სწორედ იმ ორი პროცენტით ვცხოვრობ.

* * *

მაღაზიაში შემოვარდა გაცოფებული ლოთი...

– მომატყუეს!!! – ყვირის იგი და გამყიდველს ხელებში სარეცხი ფხვნილის კოლოფს ჩრის.

– ???

– კოლოფს აწერია – პლუს 100 გრამი უფასოდ. მე კიდევ გავხსენი კოლოფი და მასში მხოლოდ სარეცხი ფხვნილია!!!

* * *

ჯოჯოხეთის ერთ-ერთი სატანჯველი: მამაკაცს მუხლებზე ტიტველი ლამაზმანი უზის, გვერდით კი ლუდის კასრი დგას. მაგრამ კასრს ქვემოთ ნახვრეტი აქვს, ლამაზმანს კი – არა.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერეულაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე 514 33-33-24